ქართველთა ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე

# ქართული!..



[illegible]

სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი. №5 (30)
1-15 ნოემბერი, 2002 წელი
ფასი 40 თეთრი

დავით შავიანიძე
გიორგი მერჩულე და ბაგრატიონთა გვარის გაღვთიურების საკითხი 3

მანანა მიქაძე
ზმნის გარდამავლობის სწავლება საშუალო სკოლის VII კლასში 4

ემზარ ჯანტურიძე
თამარ მეფის განსასვენებლის ადგილ-მდებარეობის შესახებ 6

ახალი წიგნები 7

დალი მიქაუტაძე
კლიმატი და გეოგრაფიული გარემო მშობლიური მხარის მაგალითზე 5

სოსო სიგუა
ქართლის ქართული მეტყველების აკვანი 6

[illegible] 8





ლიტერატურათმცოდნეობა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

## „ჯაყოს ხიზნები"

„ჯაყოს ხიზნები" მ. ჯავახიშვილის იმ ნაწარმოებთ რიგს განეკუთვნება, რომლებიც ყველაზე მეტად ავლენენ ავტორის ლიტერატურულ შესაძლებლობებს. უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი ეს რომანი გამორჩეულ ადგილს იჭერს არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ, საზოგადოდ, მთელი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

მ. ჯავახიშვილი არაერთგზის აღნიშნავს, რომ მას ეს ნაწარმოები განსაკუთრებულად, გამორჩეულად უყვარებია. როგორც თავად წერს, ყველაზე მეტი დავა მისი შემოქმედებიდან ამ რომანს გამოუწვევია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც მწერლისათვის, პირველ ყოვლისა, სწორედ მას მოუნიჭებია. „ჯაყოს" 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდიო,—აღნიშნავს იგი ერთგან,—ვწერდი და ვგრძნობდი და ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო" გმინვაა ჩემი სულისაო.

„ჯაყოს ხიზნების" მსოფლმხედველობრივი მიზანსწრაფვა რადიკალურად ემიჯნება და უპირისპირდება საბჭოურ იდეოლოგიას. მართლაც, გარეგნულად, რომანი ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს მწერალი რევოლუციისადმი თანადგომას გამოხატავს და მის გარდამქმნელ როლს უჭერს მხარს, მაგრამ ნაწარმოებში საკმაოდ მძაფრად და არაორაზროვნად გამოვლენილი ოპოზიციური იდეები ეჭვმიუტანლად განგვიმტკიცებენ იმ თვალსაზრისს, რომ „ჯაყოს ხიზნები" საბჭოთა იდეოლოგიასთან აშკარად დაპირისპირებული რომანია. ამ შემთხვევაში არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რა დროის იწერებოდა ნაწარმოები. ჯერ ერთი, 1923 წელს მ. ჯავახიშვილი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი რამდენიმე თვით რეპრესირებული იყო და ძლივს გადაურჩა დახვრეტას, მეორეც, 1924 წლის აგვისტოს ტრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, როგორი დაუნდობლობით ებრძოდა ხელისუფლება განსხვავებული მრწამსის ადამიანებს.

და მაინც, მიუხედავად ამ დიდი ხიფათისა, მ. ჯავახიშვილი კონიუნქტურის მოლიპულ გზას არ დადგომია და თავისი რომანით მართალი და გაბედული სიტყვა თქვა იმ პროცესებზე, რომლებიც რევოლუციის შედეგად წარიმართა ჩვენს ქვეყანაში. იმხანად ეს ნამდვილად მოქალაქეობრივი გმირობა იყო, რაც ხელისუფლებისა და პროლეტარული კრიტიკის დაუცხრომელი გულისწყრომის საგნად იქცა. ასე რომ, მ. ჯავახიშვილის ტრაგიკული აღსასრულის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად, როგორც დოკუმენტური მასალები არაორაზროვნად ნათელყოფენ, „ჯაყოს ხიზნებიც" მოგვევლინა.

### მხატვრული ალეგორიები და ლიტერატურული სახე-სიმბოლოები

#### თეიმურაზ ხევისთავი

„ჯაყოს ხიზნების" მთავარ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებს, კონკრეტული ეპოქალური მოვლენების გამოხატვასთან ერთად, მწერალმა ფართო განზოგადებაც შესძინა. ჯაყოს მხატვრული სახე, მაგალითად გალაღებული ბოროტების ხორცშესხმულ ხატებადაც შეიძლება მივიჩნიოთ და

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

მამული ჩემი

ტარიელ ფუტკარაძე

## ასპინძური მასპინძლობა

(დასასრული. დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

### ექსპედიცია ნებაყოფლობითი და მკაცრი ჯარია!

სტუდენტები ხუთ ჯგუფად გავყავით; თითოეულ ჯგუფს თითო ვაჟი და თითო ხელმძღვანელი „პატრონობდა". ყოველ მასწავლებელს პასუხი უნდა ეგო ჯგუფის სასწავლო-სამეცნიერო დონეზე, დაწოლა-ადგომა-ჭამის რეჟიმზე და **ზოგად უსაფრთხოებაზე;** ბიჭებს ევალებოდათ სოფლის გზებსა და კლდე-ღრეზე სიარულისას გოგონების „ხიდობა" (თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ზოგ არჩვისებრ ქალწულს დაუხმარებლადაც შეეძლო ეალპინისტა!). საერთოდ აიკრძალა მტკვარში ბანაობა, ვინაიდან პირველივე დღესვე ჩვენმა ბიჭებმა მტკვარს ძლივს დაატოვებინეს სატვირთო მანქანის „კამერას" შემოსკუპებული პირველკურსელები, ამის გამო, იმავე დღესვე, ჰიუგოს მეზარბაზნის მსგავსად დაისაჯნენ და დაჯილდოვდნენ ბიჭები. მათი დაუდევრობით გოგონები ჯერ წყალწაღებულად იქცნენ, შემდეგ კი ყველანი მკტვარწართმეულებად.., ახლაც კი გასახსენებლად ძნელია ხიფათის ის მრუმე მოსალოდნელობა...

თითოეულ სტუდენტს თითო კასეტა უნდა ჩაეწერა და გამოსაქვეყნებლად მოემზადებინა. აქვე ვიტყვი, რომ ექსპედიციამ კარგად იმუშავა. ალბათ, მალე მომზადდება დიალექტოლოგიური ტექსტების კრებული „ასპინძა", რომლის სასტამბო ხარჯებსაც მერაბ ბერიძე შეგვპირდა.

### თოკი, აწყვიტა და დამალა

ისტორიული მესხეთის მრავალი სოფლის სახელთაგან ამ სამ სოფელს ერთ თემულობად აერთიანებს აქაური ქართველობა. მე ამ გადმოცემა-ლეგენდას გვერდს ავუვლი და ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს მრავალტანჯულ კუთხეებს შორის სამცხე-ჯავახეთი ის გადარჩენილი რეგიონია, რომელმაც უთვალავჯერ გადაიტანა მომხვდურთა დაუნდობლობა; ალბათ, ამიტომაცაა აქაური კაცი უფრო დაფიქრებული, უფრო სევდიანი და ამიტომაცაა გასიმბოლოებული აწყვიტა, დამალას ტიპის ცნებები.

დამალაში ამჟამად სომხები ცხოვრობენ; სომხურ ტექსტებს რამდენიმე დღეს ვიწერდით ვკა, ემზარი და მე. აქაც ისეთივე მესხური ყოფაა, რაც ქართულ სოფლებში; ოჯახის წევრთა შესახებ რომ მოგიყვება მასპინძელი, მხოლოდ მაშინ აღმოაჩენ მზერის სხვაობას: ქართველი მართლმადიდებული მაინც ამ დასაქცევ თბილისს ელოდება და ვითარების სასიკეთო შეცვლა ეიმედება (არადა, არ იცის, არაფერი შეიცვლება, თუ მან თავად არ იბრძოლა მოძალადე და გამყიდველი მთავრობის შეცვლისთვის)... სომხეთა აქ დარჩენილი ნაწილიც ტკივილით ელოდება საქართველოს ნორმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას; ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი კი სომხეთში, რუსეთში ან ევროპა-ამერიკაშია გადახვეწილი. ვინც აქაა დარჩენილი ქართულად ცუდად ლაპარაკობს; ასაკოვან ხალხთან უფრო [illegible] ქართულადაც და სომხურადაც. [illegible] ახალგაზრდა [illegible] კარგად [illegible] [illegible], განსაკუთრებით [illegible] [illegible] [illegible] [illegible] იქნა [illegible]—საქართველოს [illegible].

### ხიზაბავრა

ახმნების საავტომობილო გზის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]—

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ლიტმცოდნეობა

# „ჯაყოს ხიზნები“

რევოლუციის შედეგად აღზევებული ძალადობის განსახიერებადაც. აქვე, ამასთან ერთად, არც ისაა შემთხვევითი, რომ ჯაყო ჩვენს მიწაზე შემოხიზნული უცხო ტომის წარმომადგენელია, მოხერხებულად სარგებლობს შექმნილი მდგომარეობით, ქვეყანას ახალ მესვეურად ევლინება და მგლური სიხარბით ეპატრონება თავისი ნასუფრალის ცოლსაც და მთელ ავლადიდებასაც.

ასეთივე განზოგადებას იძენს თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახეც, რომელიც უნაყოფო სიკეთის, უმოქმედობის, უმწეო კეთილშობილებისა და ილუზიური ჰუმანიზმის ინდივიდუალიზებული განსახიერებაა. მისი ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა სიტყვიერი ქადაგების იქით ვერ მიდის და ნაადრევად დაბერებულ-დაჩაჩანაკებული ეს ახალგაზრდა მოხუცი ზიზღნარევ სიბრალულს იწვევს მკითხველში. ამასთან, თეიმურაზ ხევისთავი ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილსაც წარმოგვიდგენს პაროდირებული ფორმით, რომელსაც ისტორიულად ერისა და ქვეყნის მესვეურობა ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ დრომ და ვითარებამ იმდენად გამოფიტა და დააჩაჩანაკა, რომ აღარავითარი ძალა აღარ შერჩა ამ დიდი მისიის შესასრულებლად.

მას არა თუ ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევის თავი არა აქვს, არამედ სიღრმისეულად იმასაც კი ვერ იცნობიერებს, რა უბედურებას უმზადებენ ქვეყანას რევოლუციის შედეგად ახალ სოციალურ ასპარეზზე აღზევებული ჯაყოები. დრომ, მოვლენათა მსვლელობამ და პიროვნულმა ბედოვლათობამ თეიმურაზ ხევისთავი იმდენად დასცა და დაამდაბლა, რომ იგი მისივე სახელოვანი წინაპრების სრულ ანტიპოდადაა ქცეული.

რით უნდა იყოს ეს გარემოება გამოწვეული? შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი არაპირდაპირი, შენიღბული შეფასებაა იმ კრიზისული ვითარებისა, რომელიც რევოლუციის შედეგად შექმნა ქვეყანაში. ჩვენი ინტელიგენციის ერთმა მნიშვნელოვანმა, ეროვნულად და მსოფლმხედველობრივად დეგრადირებულმა ნაწილმა იმ კრიტიკულ სიტუაციაში, როცა ქვეყანა რევოლუციური კატასტროფის პირას იდგა, არა თუ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ისტორიული მისია, არამედ თავისი პასიურობითა და მოჩვენებითი ინტელექტუალობით, პირიქით, თავადვე შეუწყო ხელი საბედისწერო პროცესების განვითარებას ჩვენში. თეიმურაზ ხევისთავი, პირველ ყოვლისა, სწორედ საზოგადოების ამ ნაწილის პაროდირებულ მხატვრულ სახედაც უნდა იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება მარგოს, მისი მხატვრული სახე არაერთმა კრიტიკოსმა საქართველოს ალეგორიადაც მიიჩნია, გადამთიელი ჯაყოს მიერ მარგოს დაპატრონება, განზოგადებულად, შეიძლება მომავალ თაობათა საგანგაშო გაფრთხილებადაც იქნეს გაგებული: ჩვენს ძვირფას საუნჯეს უცხო და მოძალადე რომ არ დაეპატრონოს, ხევისთავების სულით ნუ დავუძლურდებით და გადამთიელს თავზე ნუ დავისვამთ. პასიურმა სიკეთემ, წინდაუხედაობამ და ბედოვლათობამ ბოროტება რომ არ შვას და უფსკრულში არ გადაგვჩეხოს, ნათლად და სიღრმისეულად უნდა გავიაზროთ ჩვენი ნამდვილად ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა.

ავტორისეული სათქმელის სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ასეთი ფაქტიც: როგორც ვიცით, თეიმურაზ ხევისთავისა და მარგოს შეუღლების შედეგად მემკვიდრე არ იბადება, ჯაყოსთან დაქორწინებულ მარგოს კი შვილები უჩნდება.

ეს უმნიშვნელო დეტალი როდია, რითაც მხოლოდ თეიმურაზის მამაკაცური სისუსტე გამოიხატებოდა. იგი გაცილებით უფრო ღრმააზროვანი თვალსაზრისის გამომვლენი ფაქტია, რითაც მწერალი სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით გვამცნობს თავის პოზიციას: უნიათო, უმოქმედო, უძლურ, გზადაბნეულ სიკეთეს, რომელსაც რომანში თეიმურაზ ხევისთავი განასახიერებს, სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია და იგი უძეოდ და უფესვოდ ქრება ამ ქვეყნიდან.

რაც შეეხება ჯაყოს უხვშვილიანობას, ამით ავტორი იმაზე მიგვანიშნებს, რამდენ ძლიერია და ძნელად ამოსაკვეთი ბოროტება. იგი მრავალსახეა, საზოგადოებაში ფართოდ ფესვმოკიდებული და მის წინააღმდეგ ბრძოლა ამიტომაც ძნელდება. შეიძლება ჯაყო დაამარცხო, მის ბოროტებას წინ აღუდგე, მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი. ქვეყანაზე მაინც რჩება მისი მრავალრიცხოვანი ნაშიერი, რომელიც სამომავლოდ მამის გზის გამგრძელებელი იქნება და არა სიკეთის ნერგის გამხარებელი.

„ჯაყოს ხიზნებში“, თავისებური ფორმით, ჩვენი ისტორიული დიდებისა და ძლევამოსილების განადგურების გულისშემძვრელი სურათიც ირეკლება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ეპიზოდი, სადაც ჯაყოს მიერ მიტაცებული ხევისთავთა კარ-მიდამოს სრული გაპარტახება და განადგურებაა აღწერილი. მწერალი ნაღველში განზავებული შეფარული ირონიით მოგვითხრობს ხევისთავთა საგვარეულო დიდების განიავების ამბავს. ერთ დროს საქართველოს ისტორიის უმაღლეს კვარცხლბეკზე აღზევებულ ხევისთავთა სიმდიდრეს ახლა მათსავე კარზე სამადლოდ შეხიზნული გადამთიელი მენახირე ჯაყო ჯივაშვილი დაპატრონებია, რომელსაც ბარბაროსულად გაუბედითებია ყველაფერი: პირმომტვრეული ძველი ხანჯლები და გორდა ხმლები, რომლებიც ძველად საქართველოს ძლევამოსილების დასაცავად ელავდნენ, ახლა აივანზე ყრია დაყანგულ-დაბლაგვებული. რამდენიმე ძველი ფარი სარქველის მაგივრად ჭურებისათვის და კასრებისათვის დაეხურნათ. ძველი ფრანგული და ყირიმული ხარიხებად გადაეკეთებინათ და ზედ აკიდოები ჩამოეკიდნათ.

სახლში არც ერთი წიგნი აღარ მოიპოვება. თეიმურაზის მამის სურათი, ფერადებით ნახატი და მშვენიერ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად არის გამოყენებული. ხატები და უძველესი წიგნების ყდები მწნილების და ყველის ქილებისათვის დაუხურავთ.

...ბოსტნის კუთხეში ერთ საფრთხობელას წააწყდნენ. დაბალ ბოძზე ჯვარივით გაკრულია გადატეხილი სიათას თოფი. ამ ბოძზე და თოფის ხარიხაზე ჩამოუცვამთ რკინის აბჯარ-ჯავშანი. თვალმრგვალი ჯაჭვი, სამკლურები, შუბი და საბარკლულები. დასკლინტულ რკინის მუზარადზე, რომელსაც უძველესი წარწერა ჰქონდა—„ალლაჰ ილ-ალლაჰ“—კაჭკაჭი სჩხავის“.

ფაქტობრივად, ესაა არა მარტო ხევისთავთა ისტორიული დიდების გაბედითებისა და გაპარტახების გულის მომკვლელი სურათი, არამედ, საზოგადოდ, მთელი ჩვენი წარსულის შეურაცხყოფის, დაცემისა და ფეხქვეშ გათელვის ტრაგიკული გამოხატულებაც.

და ამ შემთხვევაში მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ მწერალი, შეფარული ქვეტექსტითა და სიმბოლურ-ალეგორიული მინიშნებით, ამ ტრაგიკულ მოვლენას რევოლუციისა და ჩრდილოეთიდან მონაბერი ყინულის სუსხს უკავშირებს: „მტკვრის ხეობა უკვე ჩაბნელებულიყო. ჩრდილოეთიდან ყინულის სუსხი მოდიოდა“,—წერს ერთგან იგი და ნაწარმოების საერთო სულისკვეთება ეჭვმიუტანლად გვაფიქრებინებს, რომ მტკვრის ხეობაში ჩამოწოლილ სიბნელესა და ჩრდილოეთიდან მონაქროლი ყინულის სუსხზე საუბარი, უბრალოდ, პეიზაჟის აღსაწერად გავლებული შტრიხი კი არაა, არამედ ღრმააზრობრივი ალეგორიული ქვეტექსტის გამომხატველი მნიშვნელოვანი დეტალია.

მართალია, მწერალს ხაზგასმით კი აქვს ნათქვამი, ჯაყოს უცხოტომელობა სრულიად შემთხვევითი ამბავია, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ეს იმიტომ ვქენი, რომ მისი ქართულდამახინჯებული მეტყველება სახასიათო კოლორიტს სძენს ნაწარმოებსო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს განმარტება უფრო იმიტომ გაკეთდა, რომ ავტორს ამით სურდა რამდენადმე მაინც დაეცხრო და გაენელებია მისი რომანის წინააღმდეგ აზვირთებული კრიტიკული შეტევების ტალღა.

სინამდვილეში კი ჯაყოს, როგორც უცხო და გადამთიელი ტომის შვილობა, კარგად გაცნობიერებული და მიზანმიმართული ფაქტია, რითაც მწერალი საგანგაშო ზარებს არისხებს და მრავალმნიშვნელოვნად გვაფრთხილებს იმაზე, რამდენ საბედისწერო მოვლენად შეიძლება იქცეს ქვეყნისთვის თეიმურაზისებური უნიათობა და მოჩვენებითი კაცთმოყვარეობა. ამდაგვარი გაუცნობიერებელი შემწყნარებლობა, ლოიალობა და ხელგაშლილობა დამღუპველი მოვლენაა ერისათვის.

ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ ფაქტითაც, რომ ჯაყოს კვალდაკვალ უამრავი გადამთიელი ჩამოსახლდა ძირძველ ქართულ მიწაზე. და აი, თავიდან სამადლოდ და მორიდებული ლაქუცით შემოხიზნული ეს ქეშელები, მეშთები, გიბები, ადამრაშეები თუ ტელები, ქართულ მიწაზე აწ უკვე საიმედოდ ფეხმოდგმულნი და ფუძეგანმტკიცებულნი, ახლა იარაღასხმულნი უტრიალებენ თავიანთ ახალ კარ-მიდამოს და გაბოროტებული აგრესიულობით გაჰყვირიან: „ყველაფერი ჩვენია, ჩვენი! დედას გიტირებდეთ, დედასა!“.

რომანის მთავარი პერსონაჟის—თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახე შინაგანი დაპირისპირების პრინციპის მიმარჯვებითაა შექმნილი. ამ დაპირისპირებას რამდენიმე არსებითი ფაქტორი განსაზღვრავს: ერთის მხრივ, თეიმურაზი ხაზგასმული კონტრასტულობით უპირისპირდება ჯაყო ჯივაშვილს, მეორეს მხრივ — მისივე წინაპრებს, მესამეს მხრივ — ძველ წეს-წყობილებას, მეოთხეს მხრივ — რევოლუციის შედეგად დამკვიდრებულ ყოფას, მეხუთეს მხრივ — საკუთარ ეროვნულ წარმომავლობას, მეექვსეს მხრივ — ღმერთს... საზოგადო მოღვაწისა და მწერალ-მეცნიერის სახელით ცნობილი ეს უნიათო ინტელიგენტი თავისი უმწეობით, ბედოვლათობით, უთავმოყვარეობითა და თვითშეურაცხმყოფელი ქცევებით მკითხველში ზიზღნარევი სიბრალულის გრძნობას აღძრავს. მისი ადამიანური ბუნება ნაწარმოებში სწორედ ამ ორი საპირისპირო გრძნობის ურთიერთშერწყმის შედეგად გამოკვეთა მწერალმა — ერთის მხრივ, შემაძრწუნებელი ზიზღი თავმოყვარეობაგათელილი და ადამიანური სახედეგრადირებული ამ სულიერად უკვე მკვდარი პიროვნებისადმი, მეორეს მხრივ კი უღრმესი შინაგანი სიბრალული და თანაგრძნობა მისი ტრაგიკული ხვედრის გამო.

თეიმურაზ ხევისთავის არსებაში სასიცოცხლო იმპულსის ყოველგვარი გამოვლინება დაშრეტილია და იგი ფიზიკურადაც და სულიერედაც განწირული უმომავლო ადამიანია. მართალია, თეიმურაზის ირგვლივ აზვირთებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა არსებითი როლი შეასრულეს მისი ცხოვრებისეული ბედის ტრაგიკული წარმართვის საქმეში, მაგრამ რომანიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ მას არც უამისოდ აქვს სახვალიო პერსპექტივა. ასე რომ თეიმურაზ ხევისთავის ტრაგედია მწერლის მიერ გააზრებულია, როგორც ლოგიკური შედეგი მთელი მისი ყოფისა.

ნაწარმოებში თავიდანვე ნათლად იკვეთება თეიმურაზის პიროვნებისთვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშან-თვისებები. მისი გარეგნული პორტრეტისა და სულიერი სამყაროს პირველივე მონახაზით მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ თავისი ცხოვრებითა და დაშრეტილი სულიერი ენერგიით თეიმურაზ ხევისთავი წარსულიდან შემორჩენილი ანაქრონიზმია და ეს „უმზეო ყვავილივით ნაზი, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქულ ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი“, იმთავითვე დასაღუპავად განწირული პიროვნებაა.

„საზოგადო მოღვაწეობის, მწერლობისა და მეცნიერების უღელში შებმული“ თეიმურაზის მთელი ცხოვრება გაუთავებელ ლაყბობასა და უშედეგო ფაციფუცში გადის. რევოლუციური იდეალების დამკვიდრებაზე მეოცნებე ამ ახალგაზრდა მოხუცმა ხელის ერთი მოსმით გაანიავა წინაპართაგან სოფელ ნაშინდარში დატოვებული ავლადიდება, რომელსაც ახალი პატრონი გაუჩნდა — ჯავის ხეობიდან შუაგულ ქართლში დედაბუდიანად სამადლოდ ჩამოსახლებული ოსი მოჯამაგირე ჯაყო ჯივაშვილი.

ამ ტრაგიკული ფაქტით მკითხველისათვის ცხადი ხდება, ერთის მხრივ, თეიმურაზ ხევისთავის ბედოვლათობა და უნიათობა, მეორეს მხრივ, ნაჩვენებია რევოლუციის შედეგად პატივაყრილი და სოციალურად განადგურებული არისტოკრატიული წოდების ეკონომიკური დაცემისა და მის ადგილზე ახალი კლასის აღზევების პროცესი, მესამე მხრივ კი ის გარემოებაცაა ხაზგასმული, რევოლუციური მოვლენების შედეგად ძალმიცემული გადამთიელები როგორ ბარბაროსულად და თავხედურად იტაცებენ ქართულ მიწა-წყალს და ჩვენი ეროვნული საგანძურის ბატონპატრონები ხდებიან.

როგორც ითქვა, ნაწარმოებში თეიმურაზ ხევისთავი, უპირველეს ყოვლისა, ჯაყო ჯივაშვილთანაა დაპირისპირებული. მრწამსით, ინტელექტით, პიროვნული ბუნების ყოველი ნიუანსით, ფიზიკურ-ბიოლოგიური მონაცემებით, ერთი სიტყვით, ყველა სასიცოცხლო პარამეტრით, ისინი რადიკალურად განსხვავებული ტიპები არიან.

ჩვენი მწერლობის ისტორიაში, ალბათ, ძნელია დავასახელოთ მეორე პერსონაჟი, რომელიც თეიმურაზ ხევისთავივით იყოს დაცემულ-დეგრადირებული. ამ თვალსაზრისით მწერალი თითქოს მეტად ულმობელიცაა და დაუნდობელიც თავისი გმირის მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში არამცდაარამც არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ავტორის ამგვარი პოზიცია მოვლენათა ისტორიული განვითარების შედეგად თეიმურაზ ხევისთავისა და მისი წოდებისადმი გამოტანილი უმკაცრესი სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი განაჩენია. მ. ჯავახიშვილი სატირული სიმძაფრით მოგვითხრობს რევოლუციური ქარტეხილების უმწეო მსხვერპლად ქცეული პიროვნების ტრაგიკულ თავგადასავალს და ღრმა ადამიანური თანაგრძნობითაც გვმსჭვალავს ამ უნიათო და თავმოყვარეობადაკარგული კაცის მიმართ.

პარადოქსული კურიოზებით სავსე თეიმურაზის ცხოვრებაში ერთი „დიდი გაუგებრობაც მოხდა: თეიმურაზმა მოულოდნელად ცოლი შეირთო“—მარგო ყაფლანიშვილი. ორივენი თავიანთი წარჩინებული გვარის უკანასკნელი ჩამომავლები არიან და ახლა ბედისწერას მათთვის დაუკისრებია მემკვიდრეობითი მისია წინაპართა ჯიშის სამომავლო განგრძნობისა. მაგრამ თეიმურაზ ხევისთავმა ვერც აქ გამოიჩინა სიცოცხლისუნარიანობა და ხევისთავ-ყაფლანიშვილების გვარეულობამ მათი შეერთებით სამემკვიდრეო ნაყოფი ვერ გამოიღო. სიმბოლური დატვირთვის მქონე ამ ფაქტით მწერალი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიგვანიშნებს ჯაყოს ხიზნების სახელით მონათლული თავისი გმირების სამომავლო განწირულობაზე.

და მაინც, მიუხედავად თეიმურაზის მამაკაცური არასრულფასოვნებისა, რომანში საოცარი ფსიქოლოგიზმითაა ნაჩვენები ის გამორჩეულად მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც მარგო ასრულებს ხევისთავის ცხოვრებაში ყველაზე დიდი სულიერი შეჭირვების ჟამს.

მოვლენათა არსში გაუცნობიერებული და ფეხის ხმას აყოლილი თეიმურაზი ოდნავადაც კი ვერ ითვალისწინებს იმ საბედისწერო შედეგებს, რაც მის მიერვე გაფეტიშებულ რევოლუციას უნდა მოჰყოლოდა რეალურად. საიდუმლო კრებებზე გატაცებით მოსიარულე ხევისთავი „სხვებთან ერთად დღითი დღე სჭამდა და ჰღრღნიდა იმ ტოტს, რომელზედაც არხეინად ეძინა და უდარდელად ფუსფუსებდა“. მაგრამ ხევისთავთა წარჩინებული გვარის ეს დაჩიავებული, ნაბოლარა წარმომადგენელი მოვლენებმა მალე დაარწმუნეს იმაში, რომ მის მიერ ნანატრ-ნალოლიავები რევოლუცია სულაც არ გამოდგა გასართობ-სათამაშო, რამ. შიშით თაგვის სოროში შემძვრალი თეიმურაზი უკვე სასოწარკვეთილი უხმობდა მშველელს, მაგრამ განწირულის „კნავილი რევოლუციის გრიგალში ვერავინ გაიგო“. ასე დამთავრდა თეიმურაზის რევოლუციური „მოღვაწეობის“ ამბავი და ერთ დროს მის მიერვე გაფეტიშებულმა ახალმა ქვეყანამ და ხევისთავმა „ისე შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთის, როგორც კერპმა მამამ შეიძულა უძღები შვილი“.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ თეიმურაზის ყოფის დასახასიათებლად გამოყენებული ღრმა სიმბოლურ-ალეგორიული აზრობრივი ქვეტექსტის მატარებელი შედარება — ხევისთავის სიცოცხლის ქცევა კისერზე ჩამოკიდებულ აყროლებულ ლეშად — სწორედ ამ დროიდან ჩნდება რომანში და იგი, პირველ ყოვლისა, რევოლუციასთან და მის შედეგად დამკვიდრებულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული. „ამ დღიდან,—წერს ავტორი, თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდება, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა, ვერ ჩამოიგლიჯა, ვერ მოიშორა, და თვითონაც იმ ლეშიან ცხოვრებას ვერსად ვერ გაექცა და ვერსად დაემალა“.

როგორც ითქვა, მწერალმა თეიმურაზ ხევისთავის განწირულობა ყველა სასიცოცხლო ფაქტორის დეგრადირების ხაზგასმით წარმოაჩინა რომანში. ერთის მხრივ იგი მთლიანად განწირული და ნიადაგგამოცლილია სოციალურად, წოდებრივად, მეორეს მხრივ, ბიოლოგიურად იმდენად დაუძლურებულია, რომ ჯიშის ფიზიკური გაგრძელების აღარავითარი უნარი აღარ გააჩნია, მესამე მხრივ, სრულიად უფუნქციო, უმიზანსწრაფვო და მოჩვენებითია მისი განათლებულობა, მეოთხეს მხრივ, პრაქტიკული საქმის კეთების არანაირი ნიჭი და უნარი არ გააჩნია, მეხუთეს მხრივ, მის ირგვლივ აზვირთებულ მოვლენებს იმდენად ზედაპირულად და რომანტიკულად უცქერს, რომ მათ არსში ოდნავი წვდომის შესაძლებლობაც კი არ მოეპოვება...

თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახის ამდაგვარი ინტერპრეტაცია თავად ავტორისეული ჩანაწერებითაც ხდება ცხადი. მაგალითად, 1925 წელს, ნაწარმოების საჯარო განხილვის დროს, წარმოთქმული სიტყვის თეზისებში მწერალს თავისი რომანის მთავარი გმირი ასე დაუხასიათებია: „თეიმურაზი კლასობრივი ხორცმეტი იყო (მამულს ვერ უვლის, გაფლანგა.), ბიოლოგიურად უკვე დამპალია (უშვილო, სუსტი), სოციალურად უნიადაგო (ინტელიგენტია, კლასის გარეშე დგას), კულტურულად ძვირფასია, ფსიქოლოგიურად კი დამარცხების შემდეგ გადაიქცა უნიათ ჰამლეტად, ნიჰილისტად, თავიჭამიად, ნაკაცარად, რომლის გამოყენება პირველ ხანებში შეუძლებელი იყო: მან ჯაყოს დახლიდარობა ამჯობინა მასწავლებლობას“. აქვე, ამავე თეზისში, მწერალი თავადვე ხსნის და განმარტავს რომანში არაერთგზის აქცენტირებული ძაღლის მძორის

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

მამული ჩემი

# ასპინძური მასპინძლობა

ლებოდა; 21 ივლისსაც მან მხოლოდ ბენზინის ხარჯის ფასად გამოგვაყოლა პატარა ავტობუსი, რომელმაც საროსა და ხიზაბავრაში მუშაობის საშუალება მოგვცა. სამცხე-ჯავახეთის სოფლებს შორის ხიზაბავრა რამდენიმე ნიშნითაა გამორჩეული: ფაქტიურად ამ დიდი და ძლიერი სოფლით იწყება ჯავახეთის ზეგანი. აქაურებს გამოკვეთილი იუმორი და ავტონომიური ინდივიდუალობა აქვთ; სოფლის ცენტრში მდგარ კარმიხურულ მართლმადიდებლურ ბაზილიკას კვირა დილით აშკარად თრგუნავს ხოლმე ხალხმრავალი კათოლიკური ტაძარი, სადაც ახალგაზრდა პოლონელი პატრი ნასწავლი ქართულით ქადაგებს თანამედროვე მიკროფონთან („დინამიკები" გენერატორით მუშაობდა შუქგამქრალ სოფელში)... ასე იყო იმ დღესაც. როგორც კი ვიკითხე, რატომ არის ბაზილიკის კარი დაკეტილი—მეთქი, მაშინვე დიდი ყურადღებითა და პატივისცემით გამოიტანეს გასაღები და ექსპედიციის წევრთა საგალობლებმა მოწყენილი ბაზილიკა ასევდიანღიმილიანა... ისტორიული მესხეთის სოფელთა ძველისძველი ცენტრის ძირითადი ნიშანია ამაღლებული ღარიდან ან მილიდან მსხვილად გადმომდინარე წყალი და მიწაზე გართხმული რამდენიმენავიანი გრძელი ავაზანი; ხიზაბავრის ბაზილიკა უფრო ახლოს იყო სოფლის წყაროსთან, ვიდრე ამაღლებულ ადგილას აშენებული მიკროფონიანი ეკლესია.

ჩვენ მთავარ მასპინძლად გიგო დათაშვილი დარჩა, რომელიც გინებანარევი იუმორით გვიყვებოდა თავისა და ხიზაბავრის წარსულზე, პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ პერანგებივით იცვლის პარტიებს, სოფელს რომ ემსახუროს (ბ-ნი გიგო, როგორც წესი, იმ პარტიის ლიდერი ხდება ხოლმე ხიზაბავრის მასშტაბით, რომელიც მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში იმარჯვებს; ბოლოს ე.წ. „ახლებში" შესულა)... გიგომ სიყვარულითა და გულისტკივილით მოგვიყვა პატრი პავლეს შესახებ; პატრი მასთან წლების მანძილზე ცხოვრობდა და თავისი პატიოსნებითა და რუდუნებით უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა არა მხოლოდ მთელ სოფელში; სწორედ მის სახელს უკავშირდება კათოლიკეობის ასეთი აღმავლობა აქ (ახალი პატრი პავლეს ვერ მიედრება: შორტებით დადის სოკოს საკრეფადო—ხუმრობდა ერთი ხიზაბავრელი). პატრი პავლე ავარიით დაიღუპა ორი წლის წინათ (შეიძლება კიდეც მოუწყვეს ეს ავარიაო, ჩოჩმანობდა გიგო)... ხიზაბავრაში ასევე პატივისცემითა და მოკრძალებით ლაპარაკობენ იტალიელ ბ-ნ ნინო მარტინზე, რომელიც ამ მხარეში აფინანსებს მშენებლობებს, ხალხს სამოგზაუროდ აგზავნის იტალიაში, ურიგებს საკვებ პროდუქტებს და ა.შ. საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლება აქ **კეთილ პატრონად** არ აღიქმება (და არც დანარჩენ საქართველოში!) ვინაიდან ხალხი ვერ ხედავს მის ზრუნვას (თუ პატიოსნებას!) და იძულებულია, უცხოელების მოწყალებაზე იმადლიეროს...

ძალიან დაჩაგრულად მეჩვენა სარო, უპატრონოდ მიტოვებული სოფელი სარო; მე მაშინ რა უნდა მექნა? ახლა კი სევდით ვაფიქსირებ საროს სიმარტოვეს...

## შორეთი

ჩვენს ექსპედიციას ჰქონდა სამეცნიერო-სასწავლო მიზნები. მსურდა აგრეთვე ჩემს თანამშრომლებსა და სტუდენტებს სისხლხორცეულად შეეგრძნოთ საქართველოს ეს ტანჯულ-ფიქრიანი კუთხე და, გარდა ამისა, მაინტერესებდა ყველანი (ჩემი თავიც!) გამოვცდილიყავით შორი თუ გრძელი მანძილების დაძლევის ძირის ხარისხის მიხედვით... წელს ჩვენი საექსკურსიო ექსპედიციების დაგეგმვას ჩვენივე არასამთავრობო ორგანიზაციის („ქართველთა ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე") თანამშრომლებთან კონსულტაციით ვახდენდით; ბ-ნი ემზარ ჭანტურიძე ჩემთან ერთად ჩაჰკირკიტებდა რუკასა თუ ისტორიულ ფაქტებს...

ასპინძა—2002-ის ზენიტად თავიდანვე **შორეთის** ეკლესია და ციხესიმაგრე განისაზღვრა; ვინც ამ გზას გაუძლებდა, ვფიქრობდი, იმავე დღეს ღართაში ამეყვანა, ჩამოსვლისას კი, ოთის



ხერთვისის ციხე

შემდეგ, აგარის ეკლესიის მონახულება თეორიულ შესაძლებლობად რჩებოდა... ძირითადად ტყე-ღრეში ერთ დღეში 20-25 კილომეტრი უნდა გაგვევლო.

ბატონმა ხვიჩა ქავთარაძემ ჩვენს ექსპედიციას ერთი ავტობუსი მოუყვანა ოთამდე სამგზავროდ და გამცილებლად ოთელი კაცი, ავღანეთში უსაქართველოოდ ნაბრძოლი გიორგი ხიხალაშვილი გამოგვაყოლა; კაცი კარგი მოსიარულე და აქაურობის მცოდნე. მოკლე და მრავალგზისავლილი ლამაზი ბილიკებით წავედით შორეთისაკენ. ფართო ბილიკის გასწვრივ ხავსმოდებული ვეება ქვები ჩვენთვის ისევ ძველ ეტრატებად იკითხებოდა, სადაც აღწერილი იყო იმ ვაჟკაც ცხენოსანთა გმირობანი საშიში თქარათქურით რომ ადი-ჩამოდიოდნენ ამ მთაგორებზე ქართველური სულის დარაჯობისას... ბუჩქებშუა გამომზირალი ლამაზი, მწვანედ ხავერდოვანი მოლი სავნებოდაც იწვევდა ალბათ კლდეკარის ციხის მცველთ მშვიდობიან დროს...

შორეთი, პირველ რიგში, სპეტაკი ორიარუსიანი ეკლესიაა. საუკუნეების წინ ნაგებ ამ შესანიშნავ ქართველურ ძეგლს



შორეთის ეკლესია

ბრწყინვალე წლების შემდეგ დიდი დარბევაც უნახავს და დაფლეთილი მისი პერანგი დღეს სულაც ვერ ასაცოდავებს სულიერების ამ ნიშანსვეტს; მომხდურთა უსულგულობა და სიპატარავე (თუნდაც, სახელდახელოდ ზემოდან უადგილოდ ჩადებული სომხურწარწერიანი ქვა) უფრო მეტად აცხადებს აქაურობის ღრმად ეროვნულ გამძლეობასა და სილამაზეს. ქუთაისელი გოგონების საგალობელმა დიდი ხნით დააფრთხეს სანთლებმიმქრალი ეკლესიის სივრცეში შეხიდილი ჭინკების ულევი გარინდება; თბილისელ სტუდენტთა და არქიტექტორთა ნაკვალევი ბალახსა და ჯაგს წაელეკა თითქმის; წყაროს გაღმა აშენებული მათი ჯარგვალი მეტყევის მიტოვებული ქოხის ილუზიას უფრო ქმნიდა, ვიდრე პატრიოტ სტუდენტთა საცხოვრისს..., ულმობელია უკაცურობა!

მერე ციხეზე ავედით; ყველა ამოვიდა! ზემოდან საოცრად ორიგინალურად ჩანდა: ფერადფერად ტანსაცმელში გამოხვეული ორმოცზე მეტი ადამიანი მოძრავ ყვავილთა საოცარ ჯაჭვ-ბაგირ-გზას ქმნიდა ტაძარსა და ციხის ყელს შორის.

...სევდა და სიხარული ქროდა ჩვენში და, ალბათ, ჩვენს გარშემო მყოფ წინაპართა სულებშიც, გასწვრივ უსაზღვრო სივრცე და სავსე განწყობა მომოქცეოდა, სადღაც დაბლა არსებული ტყე-მცენარეები თუ მდელო-მდინარეები ურყევ საყრდენ-საშენ ფუნდამენტად იდგა; იდგა და გველოდა... **საქართველოს აღდგენას არ უნდა ველოდოთ, ის ჩვენ უნდა აღვადგინოთ!** სივრცის ყველა მხრიდან ამ შინაარსის და სხვადასხვა ტემბრის ხმა მოჰქონდა ჩუმად მონარნარე ნიავს... ციხესაც ჰქონია პატარა სამლოცველო; ალბათ, ეს საოცარი მართლმადიდებლური ცნობიერება ქმნიდა ჩვენს დიდ წარსულს... ციხის კიდიდან ავთოს, იას, და ცოტნეს ველაპარაკე (ზოგჯერ მართლა კარგია თანამედროვე აპარატურა!), მერაბსაც დავურეკე აღტკინებულმა, ვუთხარი: „მერაბ, დამირეკე, მინდა შენი ტელეფონის ზარმაც აახმიაოს აქაურობა, შენ ხომ ჩვენი ექსპედიციის განუყოფელი წევრი ხარ"... განგებ დიდხანს ვახმიანე მერაბის საზეიმო ზარი...

ღართაში ყველა ვეღარ წამოვიდა, მესამედმა ალბათ ვეღარ გაბედა ახალი აღმართის ავლა. ღართის ეკლესიის ნავგრევებზე ჭინჭრები ბოგინობდნენ; აქაც დააფრთხეს ჭინკები ჩვენმა საგალობლებმა... მარკესის რემედიოსის მსგავსი მარიტა ჯოხით დაერია ჭინჭრებს—„თქვე საზიზღრებოო!"...

ბოლოს, აგარის ეკლესიაში მხოლოდ შვიდმა კაცმა ავაღწიეთ, მაგრამ საგალობლებმა აქაც გარკვეული ხმით განდევნეს ჭინკები, რომელთაც, ალბათ ძროხების სუნი ასდიოდათ... წვიმა დაიწყო; თითქოსდა მაინც დაუღლელად, მაგრამ უთუოდ სევდიანად ნელ-ნელა მოვიწვიმოდით: ემზარი, გიორგი, ნატო, სოფიკო, ლელა, ეკა და მე.

...ექსპედიციის წევრებმა ბევრი ახალი ხედი თუ განზომილება დაინახეს თავიანთი ცხოვრების ასპინძურ მონაკვეთში; ბევრი ახალი სიტყვა თუ გამოთქმაც ჩაიწერეს; ერთ-ერთით დავასრულებ უსასრულოდ გაგრძელებად სამცხურ შთაბეჭდილებებს;

ასპინძელთა მეტყველებაში „შეახალა ჭკუა" ნიშნავს—**გაგიჟდა**. ჩვენი ისტორიული თუ დღევანდელი (ტყუილად გვაგონებენ, რომ ქართველები არ ვვარგვართ!) სულიერი სიმყარის, საქვეყნო სიყვარულისა და საბრძოლო ჟინის შემხედვარე ჩვენმა მტერმა თუ „შეახალა ჭკუა", განა გასაკვირია?

...მესხეთის ექსპედიციამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენ, ქართველებს, დაუმარცხებელი სული გვაქვს ღვთისგან ბოძებული. მთავარია უახლოეს ხანში მაინც შევძლოთ ქართველურ კულტურასა და სახელმწიფოებრივ ღირსებაზე ორიენტირებული სახელისუფლო სტრუქტურების ამოქმედება—იმ სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ხაზის ამოქმედება, რომელიც აიეტიდან იწყება, ქუჯ-ფარნავაზ-გორგასლით სხივოსნდება და ჯერჯერობით ზვიად გამსახურდიას განუხორციელებელი იდეებით წყდება თუ ვანდება...

**P.S.** ასპინძელთა დიდებულ მასპინძლობას ჩვენს თვალში ჩრდილი ვერ მიაყენა სოფელ რუსთავის „საგუშაგოსთან" მყოფი პოლიციელების უხეშ-გაჭრილმა ქმედებებმა; ეს ხომ დღეს არსებული ამ მაღალწარმატელი ქვეყნის ურჩხულის შეიძლება არაა...

მოსაზრება

# გიორგი მერჩულე და ბაგრატიონთა გვარის გაღვთიურების საკითხი

„ქართლის ცხოვრების" I ტომში (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1955) ვხვდებით XI ს. საქართველოს ისტორიის ერთ პირველხარისხოვან წყაროს: „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა". აღნიშნული წყაროს ავტორი არის სუმბატ დავითის ძე. მას შემდეგ, რაც საქართველო გააერთიანეს და ერთიანი სახელმწიფოს ტახტზე ავიდნენ ბაგრატიონები. დღის წესრიგში დადგა მათი პოლიტიკური ბატონობის იდეოლოგიური დასაბუთების აუცილებლობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებული აზრის თანახმად ისტორიკოსმა სუმბატ დავითის ძემ „სათანადოდ დაამუშავა" „ქართულ-სომხურ სამყაროში" ადრევე არსებული ლეგენდა ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთიური წარმოშობის შესახებ და შეადგინა ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის გენეალოგია (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I6-, 1979,გვ. 11).

ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (თბ. 1998) დაიბეჭდა ელდარ მამისთვალიშვილის ნარკვევი: „ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაღვთიურების საკითხისათვის". მასში შესწავლილია ქართული ისტორიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვან თემის-ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის, ამაღლების და მათი გაღვთიურების შესახებ არსებული თხზულების ავტორობის საკითხი.

მკვლევარი პირველად მიმოიხილავს აღნიშნული იდეოლოგიური შეხედულების შესახებ არსებულ საისტორიო მწერლობის მონაცემებს და ამის შემდეგ გადადის საკუთარი აზრის დასაბუთებაზე. ბაგრატიონთა გვარის გაღვთიურების და ამ წყაროს ავტორობის საკითხი ნაშრომში განხილულია VIII-IX სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის და, მით უფრო, ქართული ლიტერატურის IX კლასის მასწავლებელი ვერ ასცდება გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შესწავლას, მისი, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელოვნის აღუნიშნაობას. მთავარი, რასაც ნაწარმოებიდან ვგებულობთ, ისაა, რომ უკვე VIII-IX სს. „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხებოდა, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".

სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარეც უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სიახლე, რომ აღნიშნული იყო შედეგი მაშინდელი საქართველოს ისტორიული განვითარებისა და, რომ სამეფო ხელისუფლებამ შესძლო „ეკლესიის მიერ წამოწყებული კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის დროს წარმოშობილი მატერიალური სიძნელეები თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა, მითუმეტეს, როდესაც ფაქტობრივად დამოუკიდებლობა დაკარგულ ქვეყანაში ეკლესია ეროვნული გამთლიანების პროპაგანდას ეწეოდა, რომლის სათავეში მეფე უნდა მდგარიყო. ისე, რომ ეკლესიის და საერო ხელისუფლების კავშირი აუცილებელი იყო, რასაც კარგად გრძნობდნენ იმდროინდელი მოწინავე ადამიანები" (გვ. 15).

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აღნიშნავენ, რომ VIII-IX სს. V საუკუნისაგან განსხვავებით სასულიერო პირები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე საერონიერსქენისადმი სასულიერო პირების შიში შედარებულია ფებრონიას მიერ აშოტ კურაპალატის უარით გამოსტუმრების შემთხვევასთან. ხაზგასმულია საბა იშხნელის მიერ მეფისადმი კადნიერი პასუხი და ა.შ. ვფიქრობთ, რომ მოტანილი და სხვა მსგავსი ფაქტები გაგებული უნდა იქნას საქართველოს მაშინდელი სოციალური და პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე. რომ საერო ხელისუფლებასაც და ეკლესიასაც უკვე VIII-IX სს. გათვალისწინებული ჰქონდა თანამშრომლობის, ერთმანეთის ზნეობრივი ნაკლის, სახელმწიფოს გაერთიანების აუცილებლობა. აქ უნდა ავხსნათ ახალი და მარტივად ვერ უარსაყოფი მოსაზრება. რომ: „იქნებ სულაც გიორგი მერჩულემ, როგორც მწერალმა, საუკუნის წინათ მოღვაწე, თავის გმირს ის ათქმევინა, რაც მისი დროის პოლიტიკური ვითარებისთვის შესაფერი, უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი იყო. იქნებ ავტორს სურდა საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა უფლებისათვის ხანდაზმულობის იერი მიეცა (გვ. 13) ხაზგასმულია გიორგი მერჩულის მიზანიც—დაერწმუნებინა მისი თანამედროვეობა და მომავალი იმაში, რომ მეფეს, ამ შემთხვევაში აშოტს, სურდა გრიგოლ ხანძთელთან როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველებს მიმსგავსებული წმინდანისაგან, მოესმინა ბაგრატიონთა განსაკუთრებულობაზე (გვ. 13-14).

გრიგოლ ხანძთელმა დალოცა მართლაც მეფე, მისი მთამომავლობა და გვარი, ბიბლიური დავითი მოიხსენია ბაგრატიონთა წინაპრად და მათი მეფობა ღვთის ნებად ჩათვალა.

დავეთანხმებით, თუ არა მეცნიერის მიერ წამოწყებულ, ჩვენი აზრით უდაოდ მიგნებულ ჰიპოტეზას, ვფიქრობთ, სასურველია, მოსწავლეებს მაინც გავაცნოთ აღნიშნული საკითხის ახლებური მიდგომა, რომ „ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კი აღიარა ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმოშობა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, საჭირო იყო ამ გვარის „მეცნიერული" მწყობრი ისტორიის შექმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტა იკისრა სამეფო გვარის ერთ-ერთმა განსწავლულმა წარმომადგენელმა, XI ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსმა, სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონმა... ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის პრიორიტეტი გრიგოლ ხანძთელს ან მისი ცხოვრების აღმწერელს—გიორგი მერჩულეს ეკუთვნის, სუმბატმა კი ამ თეორიის დასაბუთება სცადა და ლეგენდისა და სინამდვილის ხანგრძლივი წარმატებითაც შეძლო" (გვ. 17-20).

[illegible]
ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი

# „ჯაყოს ხიზნები“

სიმბოლურ ჩანაფიქრს. მისი თქმით, „ძალის მძლავრ ეფექტს თეიმურაზისაგან მეზიზღებული ცხოვრებისა. მიზეზი მისი რომანტიკული ბაგება რევოლუციისა. სხვას ელოდა და სხვა მიიღო, ცაში დაფრინავდა და დედამიწაზე ჩამოვარდა“.

რაც შეეხება ჯაყოს, მ. ჯავახიშვილის თქმით, იგი ყველა ნიშნის მიხედვით თეიმურაზის სრული ანტიპოდია — ფიზიკურადაც, გონებრივადაც, ბიოლოგიურადაც, ზნეობრივადაც... „მან ფუნდამენტურად გაძარცვა თეიმურაზი (ცოლი, ქონება) და დამლიდარად დაიყენა“.

მ. ჯავახიშვილის შეფასებით, ხევისთაობა პასიური ბოროტებაა, რომელიც დამღუპველ მოვლენას წარმოადგენს ეროვნულადაც, სოციალურადაც და პიროვნულადაც. რაც შეეხება ჯაყოობას, ის ბოროტებისა და ძალადობის აშკარა, შეუნიღბავი, ველური გამოვლინებაა, უაღრესად საშიში სოციალური დაავადებაა, რომელიც ხევისთაობისაგან განსხვავებით, მხოლოდ ზიზღსა და შეუძრწუნებელ სიძულვილს ბადებს მკითხველის გულში. მართალია, თეიმურაზ ხევისთავის ცხოვრებისეული ტრაგედია, მისი უნიათობა, ზნეობრივ-პიროვნული და სოციალური დეგრადაცია აღშფოთებისა და პროტესტის გრძნობებსაც აღძრავს, მაგრამ იმავდროულად, მის მიმართ, გარკვეულწილად, ადამიანური სიბრალული გვიჩნდება.

ნაკაცრისა და ნაკაცრობის ცნებები მ. ჯავახიშვილმა, პირველ ყოვლისა თავისი დროის იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს დაუკავშირა, რომელთაც ერთიანად გაანადგურეს ბევრი პიროვნება და მთლიანად დაუკარგეს მას სამომავლო ფუნქცია და მიზანსწრაფვა.

ბედისწერის მიერ ხევისთავისთვის გამოტანილი უმკაცრესი განაჩენის აღმასრულებელ ძალად რომანში ჯაყო ჯივაშვილია გამოყვანილი, ვისი სახელიც თეიმურაზის ცნობიერებაში რევოლუციასთან და მის მიერ დამკვიდრებულ სინამდვილესთანაა ასოცირებული. ჯაყოს მხატვრული სახე რევოლუციის შედეგად ცხოვრების ავანსცენაზე აღზევებული ბნელი ძალის პერსონიფიცირებულ განსახებას წარმოადგენს. დღენიადაგ რევოლუციასა და მის ძლევამოსილებაზე მოსაუბრე ჯაყო ახალ მჩაგვრელად და ექსპლოატატორად მოევლინა სოფელს. თუმცა რომანის ფინალიდან მკითხველისათვის ისიც ნათელი ხდება რომ იგი სინამდვილეში რევოლუციასთან მიტმასნილი კაცია, მოხერხებულად რომ სარგებლობს შექმნილი მდგომარეობით და მღვრიე წყალში იჭერს თევზს. რომანის ბოლო ეპიზოდებიდან ვგებულობთ, ახალი ცხოვრების რეალურად მშენებელმა ადამიანებმა როგორ გამოააშკარავეს ჯაყოს ნამდვილი სახე და თავაწყვეტილ ბოროტებას ლაგამი ამოსდეს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში ეს ყველაფერი უმნიშვნელო ადგილს იჭერს და რომანის მიხედვით დაბეჯითებით თქმა იმისა, ჯაყოსა და მისი ნაშიერის ჩამოქვეითება სოციალური აღზევების ცოდვილიან კიბეზე დროებითი მოვლენაა თუ რევოლუციის მიერ საბოლოოდ გამოტანილი განაჩენი, ფაქტობრივად, არც შეიძლება.

ჯაყოს ხიზნად ქცეულ თეიმურაზს, რომელსაც ერთიანად აქვს გამოცლილი ყველა ცხოვრებისეული საფუძველი, გროტესკულ სიტუაციაში აგდებს ფსევდოპრინციპულობა, რასაც ახალ ვითარებასთან ურთიერთობის დროს იჩენს იგი. რომანში [illegible] ზვასმული სატირულ-ირონიული ფორმით აღწერილი თეიმურაზის „მსოფლმხედველობრივი პრინციპულობა“ და სიკერპე კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს მის სრულ უუნარობასა და არაპრაქტიკულობას. ამ მხრივ, მასთან შედარებით, მარგო გაცილებით უფრო სიცოცხლისუნარიანი და პრაქტიკოსი პიროვნებაა.

როგორ ითქვა, თეიმურაზ ხევისთავი ეროვნულადაც საფუძველშერყეული პიროვნებაა. თავისი ცხოვრებისეული ტრაგედიის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მას მისი ქართველობაც მიუჩნევია. ხევისთავთა წარჩინებული გვარის ეს დაჩაჩანაკებული წარმომადგენელი, განსხვავებით მისი სახელოვანი წინაპრებისაგან, ქართველ მეფეებს ტახტის მიტაცებასაც რომ [illegible] დროდადრო, სასოწარკვეთილი გოდებს ქვეყნის დაქცევა-გაპარტახებაზე და საქართველოს მომავალი ისევე უპერსპექტივოდ და სიბნელით მოცულად ესახება, როგორც თავისი ცხოვრება.

ამ თვალსაზრისით რომანში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის საუბრები, რომლებიც თეიმურაზსა და ივანეს შორის იმართება ხოლმე. ამ დიალოგებით ერთმანეთს [illegible] ორი [illegible] თვალსაზრისი.

სასოწარკვეთილებამდე მისული ხევისთავი დიდი ხანია შეეგუება იმ აზრს, რომ ჩვენი ხალხი ფიზიკური გადაშენებისა და სამუდამოდ გაქრობისთვისაა განწირული. „ჩვენ ხვალ ან ზეგ უკუნეთს უნდა ჩავბარდეთ“,—მშვიდი მორჩილებით აცხადებს იგი და არა მარტო მომავალში ვერ ხედავს ეროვნული გადარჩენის ვერანაირ პერსპექტივას, ჩვენი წარსულიც შავბნელ წყვდიადად წარმოუდგება. დასასრულ კი ამდაგვარი ურწმუნეობითა და ეჭვის ჭიით გულგამოჭმული თეიმურაზი, რომელსაც „გულში ჩვენი ხალხის უნდობლობის შხამი დაუგუბებია“, თვალებზე შავი ბინდი გადაკვრია და სულში შავი ნაღველი ჩასწოლია, ნახუცარ ივანეს გამოტეხილად ეუბნება: „ჩემი უუდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ..ქქართველოში დავიბადე ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა—მეთქი, როცა ქარ..რთველად გამაჩინა“. ამ სიტყვების მოსმენაზე „ივანემ პირი მიიბრუნა და პასუხის ნაცვლად დიდი დუჟი გადააფურთხაო“ — ამბობს იქვე მწერალი და ამ. ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალის ხაზგასმით ზუსტ შეფასებას აძლევს ხევისთავის ეროვნულ სასოწარკვეთილებას.

კიდევ უფრო სასაცილო ფორმას იღებს ახალ ყოფასთან თეიმურაზის დაპირისპირება, „ენის ქავილითა. და ლაყბობის მუნით“ დაავადებული ხევისთავი გაუცნობიერებლად გმობს და აძაგებს ყველაფერს. ერთი შეხედვით, რევოლუციასთან მისი კონფლიქტური დამოკიდებულება მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებად შეიძლება ეჩვენოს კაცს, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. ვერც წარსულში, ვერც აწმყოსა და ვერც მომავალში თეიმურაზი ვერაფერს ხედავს ისეთს, რასაც უერთგულებს და დაიცავს. საამისო სულიერი ძალა და შემართება სინამდვილეში მას არა აქვს.

საფუძველგამოცლილი ხევისთავი ხსნისა და გადარჩენის გზის ძიებამ რელიგიასთანაც მიიყვანა, მაგრამ ურწმუნეობითა და მოჩვენებითი მწიგნობრობით გულგამოჭმული ნაკაცარის „მოშხამული სული“ ვერც ამ იდუმალების არსს ჩაწვდა ღრმად და საბოლოოდ სასოწარკვეთილი ამბობს: „წიგნმა მომტაცა ფრთები, ცოდნისა და იჭვის ჭიამ ისე დამიღრნა გონება და გამომიფიტა სული, რომ ნივთიერ ქვეყანას ერთი გოჯითაც ვერ მოვსწყდი“. მაგრამ უკიდურესმა სულიერმა სასოწარკვეთამ ხევისთავს მაინც აპოვნინა ღვთისკენ სავალი ბილიკი. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია რომანის ის ეპიზოდი, სადაც ეკლესიაში რწმენაგაღვიძებული თეიმურაზის პირველი მისვლის ამბავია მოთხრობილი.

ერთადერთი ნათელი წერტილი და სულიერი გადარჩენის იმედი, რომელიც თეიმურაზს ხევისთავის წყვდიადით მოცულ ცხოვრებას სინათლის მკრთალ სხივს ჰფენს. კიდობანში გადანახულ ძველ ხატში განსახიერებული ღმერთია, რომელსაც „მეტანიით, სასოებითა და ცრემლით“ შეთხოვს იგი შველას. ამ რწმენის გამონათებით მთავრდება თეიმურაზ ხევისთავის თავგადასავლის თხრობა, საერთოდ მთელი რომანი და მკითხველს საბოლოოდ მაინც უჩნდება სუსტი იმედი იმისა, იქნებ, სამომავლოდ, თეიმურაზის წყვდიადით მოცულ ცხოვრებასაც მიწვდეს როგორმე მაცხოვრის ხატთან სასოებით ანთებული სანთლის წმინდა სინათლე.

თავისი ტრაგიკული სოციალური ბიოგრაფიით თეიმურაზ ხევისთავს ბევრი რამ აქვს საერთო 20–30–იანი წლების ჩვენი მწერლობის ისეთ ფართოდ ცნობილ პერსონაჟებთან, როგორებიც არიან: კონსტანტინე გამსახურდიას კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი, დემნა შენგელაიას ბონდო ჭილაძე და გურამ ბარამანდია, ლეო ქიაჩელის თავადის ქალი მაია და სხვები. წოდებრივად და საზოგადოებრივად ფუნქციადაკარგული და ცხოვრების ავანსცენიდან გაძევებული ეს ადამიანები, უსაზღვრო სულიერ დეპრესიაში ჩავარდნილნი და სასოწარკვეთით მოცულნი, დროის ქარტეხილებისაგან დამსხვრეულ და ცხოვრებისაგან გარიყულ არსებებად ქცეულან და წინ აღარავითარი სამომავლო პერსპექტივა აღარ აქვთ. მათი სოციალური და ადამიანური განწირულობის ჩვენებით იმდროინდელმა ქართულმა მწერლობამ ფართო განზოგადებულობით ასახა ახალი ისტორიული ვითარების შედეგად აქტიური ცხოვრების ასპარეზზე უფუნქციოდ დარჩენილი არისტოკრატიული წოდების ტრაგიკული ხვედრი. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს ქვეყანაში აზობოქრებულმა მძლავრმა სოციალ-პოლიტიკურმა ქარტეხილებმა საბედისწეროდ დააჩქარეს მათი სულიერი კვდომისა და დეგრადაციის პროცესი, რაც მანამდე საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა ნელ-ნელა და თანდათანობით.

(გაგრძელება იქნება)

**მასწავლებელთა დასახმარებლად**

# ზმნის გარდამავლობის სწავლება საშუალო სკოლის VII კლასში

„ქართული ზმნა ორგვარია, გარდამავალი და გარდაუვალი. ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირობიექტური პირის ფორმები აქვს, გარდამავალია, ხოლო რომელსაც არა აქვს, ან არ შეიძლება ჰქონდეს, გარდაუვალია“. (აკ. შანიძე).

ქართველურ ენებში გარდამავლობის საკითხი დამუშავებული აქვ ყველაზე მეტად ჰუგო შუხარდტსაც, მაგრამ მას არ გაუცია პასუხი კითხვაზე, თუ რა არის გარდამავლობის არსებითი ნიშანი ჩვენს ენაში.

გარდამავლობის შესწავლა გასაგებს ხდის მოსწავლეთათვის ქართული ენის ერთ საინტერესო თავისებურებას—ერგატიული კონსტრუქციის რაობას: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა სათანადო ენათა გარდამავალი ზმნის თავისებურების პრობლემაა.

ფრაზის კონსტრუქცია ქართულში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარდამავლობის საფუძვლიან ცოდნაზე, კერძოდ, იმაზე, თუ როდისაა საჭირო სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები. სწორედ ამაშია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამავე დროს, გარდამავლობის შესწავლა სათანადოდ მოქმედებს მოსწავლის სწორ მეტყველებაზე.

ჩვეულებრივ, გარდამავლობის ამოსაცნობად მიღებულია ზმნის ობიექტურ პირებზე დაკვირვება, მაგრამ სწავლების პროცესის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მოსწავლეები მექანიკურად აკავშირებენ გარდამავლობას ობიექტურ პირთან, ისინი შეგნებულად ვერ ეუფლებიან გარდამავლობის საკითხს.

მოსწავლეთა ერთი ნაწილი წარსულ დროში გარდაუვალ ზმნას სუბიექტურ პირს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით უწყობს. ეს გვხვდება განსაკუთრებით იმერეთის სკოლებში, რისი მიზეზიც დიალექტურ მეტყველებაში უნდა ვეძებოთ. ზოგიერთი მოსწავლე ორპირიან ირიბობიექტური პირის შემცველ ზმნებს გარდამავალ ზმნებად მიიჩნევს და მორფოლოგიური გარჩევისას მათ გარდამავალ ზმნათა სვეტში ათავსებს, ზოგი კი ზმნასთან შეწყობილ სუბიექტურ და ობიექტურ პირებს სათანადო ბრუნვის ფორმაში ვერ სვამს.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი გარდამავლობის ცოდნის განმეორება-განმტკიცებას არ ახდენს ზმნის სხვა კატეგორიების შესწავლის პროცესში. არ მიმართავენ შემოქმედებითი ხასიათის წერით სავარჯიშოებს, რაც საბოლოოდ არასასურველ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნაზე.

ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ მოზარდი სწრაფად იწყებს გადასვლას თვალსაჩინო კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულ, განყენებულ, ცნებით აზროვნებაზე. ზმნის გარდამავლობის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად წინამძღვარს მოსწავლის ცნებითი აზროვნება წარმოადგენს, რომელიც სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული კონკრეტული მაგალითების ანალიზით ახდენს განყენებას, განზოგადებასა და ზმნის გარდამავლობის კატეგორიის შესახებ ცოდნის ცნებებში გამოსახვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზმნის გარდამავლობის სწავლებისას ფართოდ უნდა გამოვიყენოთ: გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების შეპირისპირება, დაკვირვება გარდამავლობის აუცილებელ ნიშანზე (პირდაპირობიექტური პირის შეწყობა). ამ მიზნით, სასურველია, მოსწავლეები სისტემატურად ვავარჯიშოთ ზმნების გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებად დაჯგუფებაზე. ასეთი ვარჯიშობა მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების სტილის დახვეწის კარგი საშუალებაა. ასევე:

1. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების შესწავლა უნდა მოხდეს პირთა რომელობისა და ზმნის ერთ ფორმაში პირთა რაოდენობის, როგორობის გაცნობის შემდეგ ერთი გაკვეთილის დათმობით.

2) გარდამავლობის გასაცნობად გამოვიყენოთ შედარება-შეპირისპირების ხერხი.

3) სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები უნდა გამდიდრდეს.

მოსწავლეებმა გაკვეთილზე უნდა გაიმეორონ ზმნისა და სუბიექტური და ობიექტური პირების რაობა, განსხვავება პირდაპირ და ირიბობიექტურ პირებს შორის.

დაფაზე დაიწერება წინადადებები: 1. ლუარსაბი გრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა და აჯობა (ილია). 2. ალა-მაჰმადმა, სანამ ქალაქს მოადგებოდა, მარაბდა დაწვა, ქოტისი დაანგრია და ზაალის ავლა-დიდება მიწასთან გაასწორა (მ. ჯავახიშვილი). მოსწავლეები ამ წინადადებებიდან გამოყოფენ ზმნებს: გრძნობდა, დაიჭირა, აჯობა, მოადგებოდა, დაწვა, დაანგრია, გაასწორა; სუბიექტურ პირებს—ლუარსაბი, ალა-მაჰმადმა, ცოლმა; ობიექტურ პირებს—ქალაქს, მარაბდა, ქოტისი, ავლა-დიდება. გაირკვევა ობიექტური პირების როგორობა. გაკეთდება დასკვნა, რომ ზმნებს—გრძნობდა, დაიჭირა, დაანგრია, გაასწორა—შეეწყობა პირდაპირობიექტური პირები, ხოლო ზმნებს—აჯობა, მოადგებოდა—ირიბობიექტური პირები.

საანალიზოდ ერთი და იმავე ფუძის გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები უნდა შეირჩეს. გრამატიკული გარჩევისას, შედარება-შეპირისპირების ხერხის გამოყენებით, მოსწავლეთათვის გასაგები გახდება, რომ გარდამავლობისათვის განმსაზღვრელია ზმნაში პირდაპირი ობიექტური პირის არსებობა.

მოსწავლეებს ამ ეტაპზე შესწავლილი არა აქვთ სერიები და მწკრივები, მათთვის დაწყებითი კლასებიდან ცნობილია დროის კატეგორია, ამიტომ წარსულ დროში ზმნის გადაყვანა ძნელი არ არის. უკეთ ათვისების მიზნით მათ საილუსტრაციო მასალა კოდოსკოპით მიეწოდება, სადაც გამოყოფილი იქნება არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები. აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ გარდამავალ ზმნასთან ახლანდელ დროში სუბიექტური პირი სახელობითშია, პირდაპირობიექტური პირი—მიცემითში, წარსულ დროში სუბიექტური პირი მოთხრობითშია, პირდაპირი ობიექტი—სახელობითში, ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტური პირი ორსავე დროში სახელობით ბრუნვაშია, ობიექტი—მიცემითში:

**მზე ფანჯარა-ს სხივ-ს სტყორცნის.**
**მზე-მ ფანჯარა-ს სხივ-ი სტყორცნა.**
**ლალი ცეცხლ-ს აქრობს.**
**ლალი-მ ცეცხლ-ი ჩააქრო.**
**არწივ-ი ყორნებ-ს ეომება.**
**არწივ-ი ყორნებ-ს ეომებოდა.**

ზმნის დროის მიხედვით ცვლისას ყურადღება გამახვილდება, რომ გარდამავალი ზმნის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირი ბრუნვაცვალებადია.

**ამის შემდეგ დაფაზე გაიხაზება სქემა**

| გარდამავალი ზმნები: | გარდაუვალი ზმნები: |
| --- | --- |
| სამპირიანი ორპირიანი (პირდაპირი ობიექტით) | ერთპირიანი ორპირიანი (ირიბი ობიექტით) |

როცა მოსწავლეები გაიგებენ, რომ გარდამავლობის მთავარი ნიშანი ზმნაში პირდაპირი ობიექტური პირია, ამის შემდეგ ზეპირად შესრულდება სახელმძღვანელოში მოცემული №1 სავარჯიშო.

ზმნის გარდამავლობის შესახებ ცოდნის განსამტკიცებლად ჩატარდება საკლასო წერა. მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, ზმნა რამდენპირიანია, გარდამავალია თუ გარდაუვალი: 1) ცას შავი ღრუბელი გადაეფარა. 2) სპარსელები კალიებივით მოედვნენ კახეთის სოფლებს, მაგრამ შაჰმა დამარცხებული კახეთი ვერ იხილა, ქართველი კაცი არაფერზე ცვლიდა სამშობლოს სიყვარულს. მშობელ მიწაზე სიკვდილი ერჩია უცხოეთში განცხრომას. ამან კიდევ უფრო გააგიჟა შაჰ-აბასი და ქვას ქვაზე არ ტოვებდა (ი. გოგებაშვილი).

წერის დამთავრების შემდეგ უნდა გაანალიზდეს და გასწორდეს შეცდომები.

მოსწავლეებს საშინაო დავალებად მიეცემათ, მხატვრული ლიტერატურიდან ამოწერონ 10 ზმნა და გაარკვიონ გარდამავლობა.

**მანანა მიქაძე**
**პროფესორი**

# საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს



შეადგინა მ. ბერძენიშვილმა

# კლიმატი და გეოგრაფიული გარემო მშობლიური მხარის მაგალითზე

პლანეტის ბუნების შენარჩუნება კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა— ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორია, ეს ერთიანი და განუყოფელი გარემო, ბუნების ნაწილია და თითოეული სახელმწიფო პასუხისმგებელია კაცობრიობის და ისტორიის წინაშე დედამიწის ბუნების შენარჩუნებაზე ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

თანამედროვე მსოფლიო მრავალი პრობლემების წინაშე დგას. თავისი პროფილის, სირთულის, გავრცელების მასშტაბების და სხვათა მიხედვით პრობლემების სამი დონე შეიძლება გამოიყოს: შიდა სახელმწიფოებრივი, რეგიონალური და გლობალური.

დედამიწის გლობალური პრობლემების სამი მნიშვნელოვანი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება: 1) პოლიტიკური, 2) ეკოლოგიური და 3) სოციალურ-ეკონომიკური. ეკოლოგიური პრობლემების ჯგუფი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ატმოსფეროს, ნიადაგის, ჰიდროსფეროს, ლითოსფეროს, კლიმატის, ფლორისა და ფაუნის დაცვა, კოსმოსისა და მსოფლიო ოკეანის დაცვა და ათვისება, სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილება.

ატმოსფერო, როგორც ფიზიკური სხეული, პრაქტიკულად გამოულეველი ბუნებრივი რესურსია, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად, მასში საკმაოდ მძიმე, გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები ჩნდება. ცხადია, ამ პრობლემების თავიდან აცილება, თვით ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებში შედის და მისი ალკვეთა თვით ადამიანის ხელშია. ატმოსფეროში გაშვებულ გაჭუჭყიანებულ ნივთიერებათა 60-80% ავტომობილზე მოდის. დიდ ქალაქებში ადამიანები „ყლაპავენ" 100-ათასჯერ მეტ ტყვიას, ვიდრე მათი წინაპარი მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

ატმოსფეროს დაჭუჭყიანების შედეგად მხუთავი გაზი ადვილად იჭრება სასუნთქი გზებით ადამიანის სისხლში, რეაქციაში შედის ჰემოგლობინთან და აძევებს ჟანგბადს, საყურადღებოა, რომ ადამიანის ჰემოგლობინის სწრაფვა მხუთავი გაზის მიმართ 360-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ჟანგბადის მიმართ. სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული სმოგის შედეგად მსხვილ ურბანიზებულ ქალაქებში ადამიანთა მსხვერპლი.

საქართველოში ატმოსფეროს გამტვერიანების რეგულარული კონტროლის მიზნით გამოიყენება ასპირაციულ პრინციპზე დაფუძნებული მეთოდი. ამ მეთოდის ძირითად ნაკლს შეადგენს სინჯის აღების შრომატევადობა და ფილტრის ბევრჯერადი აწონვის აუცილებლობა. გარდა ამისა, სინჯის აღების და გაზომვის შედეგის მიღებას შორის არსებული დროითი მონაკვეთის დიდი წყვეტილობა ვერ უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიღების ოპერატიულობას.

ქუთაისი—სიდიადითა და მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს მეორე ქალაქია. ქალაქში ოცდაათამდე მსხვილი სამრეწველო ობიექტი ფუნქციონირებდა, რომლებიც ქალაქის მთელ ტერიტორიაზეა განაწილებული. მათ შორის აღსანიშნავია ლითოფონის, მინისტარის, საავტომობილო, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა და ა.შ. აღნიშნული და სხვა საწარმოები მთელი დატვირთვით მუშაობდა 1989-90 წლამდე, დღეს კი ფაქტიურად ყველა ეს საწარმო გაჩერებულია. ასევე საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს ქალაქში ყველა სახის ავტომობილთა რიცხვი. მათი რიცხვი შედარებით მცირე იყო 1991-92 წლებში, ჩვენს ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო (სამოქალაქო ომი), დღეს კი მათი რაოდენობა ბევრად აღემატება 89 წლამდე რაოდენობას, რაც ცხადია უდიდეს როლს თამაშობს ქალაქის ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანების საქმეში.

ქუთაისში, ჰაერის დამაჭუჭყიანებელ ძირითად ინგრედიანტებზე დაკვირვება დაიწყო 70-იანი წლებიდან. ამ მიზნით ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული იყო ხუთი სტაციონარული ჯიხური. დღეს მხოლოდ რამდენიმე ფუნქციონირებს. თითოეულ ჯიხურში გამართულია სპეციალური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება სინჯების აღება ძირითად ინგრედიანტებზე: მტვერი, CO, $SO_2$ და $NO_2$

როგორც აღვნიშნეთ, 90-იანი წლებიდან ქალაქში საწარმოთა ფუნქციონირება მინიმუმადეა დაყვანილი. ამდენად საინტერესოა 1990 წლამდე და შემდგომი პერიოდის—1991-95 წლების, მონაცემების შედარება და მიღებული შედეგების საფუძველზე სათანადო დასკვნების გაკეთება.

ჩვენს ქალაქში, 1981 წლის მონაცემებით მტვრის მაქსიმალური კონცენტრაცია აღინიშნა იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში და მიაღწია 0,9 მგ/მ³, ნოემბერ-დეკემბერში ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია) ნაკლები იყო და შეადგინა მხოლოდ 0,4 მგ/მ³, დანარჩენ თვეებში ნორმის ფარგლებში მერყეობდა.

პუნქტების მიხედვით მაქსიმალური სიდიდეები აღინიშნა რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირზე, ჭავჭავაძეზე მაქსიმალური კონცენტრაცია გვქონდა თებერვალში-2,3 მგ/მ³ (ყველაზე დიდი სიდიდე წლის განმავლობაში), ხოლო მარტსა და აპრილში 1,9 მგ/მ³. რუსთაველის გამზირზე კი იანვარსა და თებერვალში აღინიშნა 1,2 ე.ი. 2,5-ჯერ და მეტადაც გადააჭარბა დასაშვებ ნორმას. რაც შეეხება 1982, 1983 და 1984 წლებს, ამ პერიოდში ქალაქში მტვრის კონცენტრაცია ნორმის ფარგლებს არ აღემატებოდა. ჩვენი აზრით 1981 წლის გაზრდილი მაჩვენებლები დაკავშირებულია მეტეოროლოგიურ პირობებთან. ამ წელს ქალაქში არ აღინიშნებოდა ძლიერი ქარები და ძირითადად ჭარბობდა დასავლეთის რუმბის, რაც ხელს უწყობს ქალაქში მავნე მონარევების დაგროვებას, ე.ი. არა ხელსაყრელია ჩვენი ქალაქის პირობებისათვის.

რაც შეეხება 1991 წელს, ამ პერიოდიდან ჩვენს ქალაქში მტვრის კონცენტრაციამ საკმაოდ მოიმატა და ივნისში 3-ჯერ, ხოლო ივლისში 4-ჯერ გადააჭარბა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას. 1992 წელს 9 თვის განმავლობაში (I, II, IV, V, VI, VII, VIII, IX, XII) გადააჭარბა დასაშვებ ნორმას, 1993 წელს კი ორჯერ ივლისსა და აგვისტოში. თითქმის ანალოგიური სურათს ჰქონდა ადგილი 1994-95 წლებში.

დღევანდელ სიტუაციაში მტვრის კონცენტრაციის ზრდა დაზიანებულ გზებსა და მაინც ავტოტრანსპორტს უნდა დავუკავშიროთ. ეს ეხება ასევე ტოქსიკური მიკროელემენტების ზრდასაც, რაც დაბალი ხარისხის საწვავის (ბენზინი) მოხმარებასთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება $NO_2$-ს, მისი კონცენტრაცია ჩვენს ქალაქში ნორმაზე ოდნავ მეტია. მგ 1981 წელს მაქსიმუმი აღინიშნა ოქტომბერსა და ნოემბერში და შედგინა 0,15 მგ/მ³, 1982 წელს—0,12 მგ/მ³ და ა.შ. საშუალოდ მთელს ქალაქში $NO_2$-ის სიდიდე 0,06-0,10-ის ფარგლებში მერყეობს და უმნიშვნელოდ აღემატება ზდკ ე.ი. $NO_2$-ის როლი ძირითადად ნორმის ფარგლებში ცვალებადობს.

მართალია, 90-იანი წლებიდან კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში $NO_2$ და $SO_2$-ზე დაკვირვება აღარ წარმოებს და ამდენად მასალებიც აღარ გვაქვს წინა წლებთან შედარების მიზნით, მაგრამ 70-იანი და 80-იანი წლების მონაცემები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ინგრედიენთა მატებას ჩვენს ქალაქში ადგილი არა აქვს, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში, როდესაც ქალაქში საწარმოები თითქმის გაჩერებულია.

$SO_2$-ის განაწილების სურათიც ასეთია: 1981-85 წლების მონაცემებით, მხოლოდ 1981 წელს, 2-ჯერ—ივნისსა და აგვისტოში, აღინიშნა მისი მნიშვნელობა ნორმაზე მეტი, დანარჩენ თვეებში ნორმის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ზამთარში ნორმაზეც ბევრად ნაკლები იყო. ე.ი. 1981-85 წლების პერიოდში აშკარად გამოიკვეთა 1981 წელი, როდესაც ქალაქში ყველა ინგრედიენტის სიდიდე ნორმაზე მეტი აღინიშნა, ატმოსფეროს დაჭუჭყიანების მეტეოროლოგიურ ასპექტებს ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ცნობილია, რომ ქალაქის ტერიტორია რთულ ობიექტს წარმოადგენს და მის საჰაერო აუზში მინარევთა სივრცითი განაწილების შესასწავლად აუცილებელია მრავალრიცხოვანი მასალის ფლობა. საქართველოს პირობებში ამ საკითხის გადაჭრა კიდევ უფრო გართულებულია იმითაც, რომ ჩვენთან ქალაქები მდინარეთა ძლიერ დასერილ ხეობებში არიან განლაგებული. ამ ქალაქების გარემომცველი მთების ფერდობებს სხვადასხვა ორიენტაცია და სიმაღლის მაჩვენებლები გააჩნიათ, რაც თითოეულ მათგანში თავისებურ გავლენას ახდენს მინარევთა კონცენტრაციის ველის ფორმირებაზე.

ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი წყაროების განლაგების პრინციპისა და მინარევთა კონცენტრაციის ველის განაწილების მიხედვით, საქართველოს სამრეწველო ქალაქები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველი ჯგუფის ქალაქებში, რომლებშიც სამრეწველო საწარმოებს ძირითადად ქალაქის ერთ ნაწილში აქვთ თავი მოყრილი (რუსთავი, ზესტაფონი), სამრეწველო ამონაბოლქვთა გადატანის გაბატონებულ მოძრაობაზე დამოკიდებულებით, გაჭუჭყიანებას უმთავრესად მხოლოდ ცალკეული რაიონები განიცდიან. ამის გამო, მათ საცხოვრებელ მასივებში, არც თუ ისე დიდია ჰაერის გაჭუჭყიანების მაღალი დონეების განმეორებადობა.

მეორე ჯგუფის ქალაქებში კი სამრეწველო ობიექტების უგეგმო განლაგება მის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ქმნის გაჭუჭყიანებული ჰაერის საერთო ფონს (თბილისი, ქუთაისი). ამრიგად, მეორე ჯგუფის ქალაქებში უფრო ხშირად აღინიშნება ატმოსფეროს მინარევთა მაღალი კონცენტრაციის ველის ზემოქმედება.

საქართველოს ჰავას, უძველესი დროიდან დღემდე, მკვეთრი ცვლილება არ განუცდია, მაგრამ საკმაოდ გახშირდა ისეთი ანომალიები, როგორიცაა უხვთოვლიანი ზამთრები და კონტრასტულად მაღალი ტემპერატურები ზაფხულის დღეებში. ასეთ ანომალიებს ჩვენ ხშირად კლიმატზე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებას მივაწერთ.

როგორც ცნობილია, თბილ პერიოდში, ადგილი აქვს ინტენსიურ ტურბულენტურ მოძრაობას. დიდ ქალაქებში ასეთ მოძრაობას აძლიერებს ის, რომ აქ იქმნება ე.წ. „სითბოს კუნძულები". ამ დროს ქალაქის ცენტრსა და მის გარეუბანს შორის ტემპერატურათა სხვაობა საშუალოდ 1° შეაგენს და მატულობს გათენებისას თითქმის 2°-მდე, იშვიათ შემთხვევაში 8°-საც კი აღწევს. სითბოს კუნძულები მცირდება არასამუშაო დღეებში, ზრდა კი დაკავშირებულია ქალაქში მოსახლეობის ზრდასთან, მშენებლობის სიხშირესთან, მოასფალტებული გზების არსებობასთან და ა.შ.

ნებისმიერი ქალაქისათვის შეიძლება გამოანგარიშებულ იქნას ქარის კრიტიკული სიჩქარე, რომლის ზემოთაც „სითბოს კუნძულების" წარმოქმნა საერთოდ არ ხდება.

$V_{კრ} = 3{,}4 \lg Np - 11{,}6$

სადაც, Np ქალაქის მოსახლეობაა.

ქუთაისისათვის, სადაც მოსახლეობა 200 000 კაცს აღემატება, (ეს რიცხვი ზუსტი არ არის, დღეს ადგილობრივ მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა პირობების გამო მოუხდა ქალაქის დროებით დატოვება, ასევე დიდია ქალაქში ე.წ. „იძულებით გადაადგილებულ მოსახლეთა რაოდენობაც), გამოვიანგარიშეთ ქარის კრიტიკული სიჩქარე და მოვიღეთ $V_{კრ}$ =5-6 მ/წმ, ე.ი. როდესაც, ქარის სიჩქარე 5-6 მ/წმ-ზე ნაკლებია, ქუთაისში მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება „სითბოს კუნძული". ჩვენი ქალაქის სინამდვილისათვის კი ხშირია მეტი სიმძლავრის ქარიანი დღეები და ამდენად ამ პრობლემის წარმოქმნის ალბათობაც ნაკლებია.

თანამედროვე ტექნოლოგია მოწოდებულია მოიხმაროს ბუნებრივი რესურსები. ამით იგი ზემოქმედებას ახდენს და სახეს უცვლის ბუნებას, რის შედეგად ადგილი აქვს როგორც ლოკალურ, ასევე რეგიონალურ და გლობალურ ცვლილებებს. ნებისმიერი ტექნოლოგია ამა თუ იმ სახით მოიხმარს ენერგიას და ამით პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ზემოქმედებას ახდენს გარემომცველ გარემოზე ყოველივე ეს იძლევა საშუალებას, მოხმარებული ენერგია, გაანგარიშებულ ერთეულ ფართობზე, როგორც ანთროპოგენული ზემოქმედების ინტეგრალური მაჩვენებელი, გამოყენებულ იქნას ეკოლოგიური წონასწორობის შეფასების მიზნით.

მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მონაცემები (იხ. ცხ.) გვიჩვენებს, რომ ანთროპოგენული ზემოქმედების კოეფიციენტის გაზრდილი მაჩვენებელი ახასიათებს განვითარებულ ქვეყნებს, ტერიტორიის სიდიდის მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენს კანადა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია სამეურნეო ობიექტებით დაუკავებელი ტერიტორიები.

უკანასკნელ წლებში, ამ პროცესებში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს სწრაფად განვითარებად ქვეყნებს. მაგ, შეიძლება დავასახელოთ კორეა, სადაც ანთროპოგენული ზემოქმედების კოეფიციენტი 10-ჯერ მეტია გლობალურ მაჩვენებელთან შედარებით. გარემომცველი გარემოს ცვლილების საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნით მჭიდროდ დასახლებულ განვითარებად ქვეყნებს.

რამდენადაც დღესდღეობით შეიმჩნევა გარემოს ცვლილების გლობალური პროცესები, შეიძლება დავუშვათ, რომ ანთროპოგენული ზემოქმედების საშუალო გლობალური კოეფიციენტი აღემატება დედამიწისათვის დასაშვებ ნორმას. ანთროპოგენული ზემოქმედების კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა (41) აღინიშნება ნიდერლანდებში (განხილულ ქვეყნებს შორის მისი ტერიტორია ყველაზე მცირეა, ხოლო მოხმარებული ენერგია არც თუ ისე პატარა), მეორე ადგილზეა (18) გერმანია. დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში ეს კოეფიციენტი 16-ის ტოლია. კოეფიციენტის მინიმუმს, მნიშვნელობა 0,4 და 0,2 შესაბამისად აღინიშნება კანადასა და ბრაზილიაში (აიხსნება გამოუყენებელი მიწების დიდი ფართობების გამო). მექსიკასა და ინდოეთში კოეფიციენტი 1-ის ტოლია, ე.ი. უტოლდება გლობალურ მნიშვნელობას.

როგორც ჩანს, ანთროპოგენული ზემოქმედების საშუალო გლობალური კოეფიციენტი 6-8-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ეს იმას მოწმობს, რომ ბიოსფეროში დაირღვა წონასწორობა ბიოგენური წრებრუნვისა და მსოფლიო სისტემა შევიდა ეკოლოგიურ კრიზისში.

როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, ფართობის ერთეულზე მოხმარებული ენერგია წარმოადგენს საუკეთესო ეკოლოგიურ ინდიკატორს, რომელსაც უკვე ფართოდ იყენებენ მსოფლიოს რიგ ქვეყნებში, ანთროპოგენული ზემოქმედების დონის შეფასებისათვის ამ მხრივ საინტერესოა როგორ სურათს აქვს ადგილი მთელს საქართველოში და მეორე მხრივ ჩვენს ქალაქში. ამ მიზნით ვისარგებლეთ რესპუბლიკასა და ქალაქში მოხმარებული ელექტროენერგიის მონაცემებით, რამდენადაც სხვა საწვავის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნდა.

ბოლო მონაცემებით საქართველო წლის განმავლობაში მოიხმარს საშუალოდ 18176 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას, ხოლო ქუთაისი =360 მლნ კვტ/სთ-ს. საქართველოს ფართობი ჰექტრებში წარმოდგენს 6,9 მლ ჰა-ს, ხოლო ქუთაისის 0,38 მლნ ჰა.

ამ მონაცემებით გამოვიანგარიშეთ რომ ანთროპოგენული ზემოქმედების კოეფიციენტი, გლობალურ მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება და ამდენად საქართველო მძლავრ ეკოლოგიურ კრიზისს განიცდის. რაც შეეხება ქუთაისს აქ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

**დალი მიქაუტაძე**
დოცენტი
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

### ენერგია როგორც ანთროპოგენული ზემოქმედების ინდიკატორი

| ქვეყნები | ფართობი მლნ, ჰა | მოხმარებული ენერგია პ ჯოულის (მთლიანად /1მლნჰა | ანთროპოგენული ზემოქმედების კოეფიციენტი | აუთვისებელი ტერიტორიების ფართობები % |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 916,6 | 68000/74 | 3,4 | 5 |
| კანადა | 992 | 7500/8 | 0,4 | 65 |
| მექსიკა | 191 | 4100/22 | 1,0 | 2 |
| ბრაზილია | 846 | 3200/4 | 0,2 | 24 |
| ჩინეთი | 932 | 23500/25 | 1,1 | 22 |
| ინდოეთი | 297 | 6500/22 | 1,0 | 0 |
| იაპონია | 37,6 | 13400/356 | 16,0 | 0 |
| კორეა | 9,9 | 2200/222 | 10,0 | 0 |
| ნიდერლანდები | 3,4 | 3100/912 | 41,0 | 0 |
| ინგლისი | 24,2 | 8500/351 | 16,0 | 0 |
| გერმანია | 35 | 14000/400 | 18,0 | 0 |
| ავსტრალია | 761 | 3200/4 | 0,2 | 33 |
| რუსეთი | 1710 | 22000/19 | 0,9 | 34 |
| მსოფლიოში | 13076 | 283000/22 | 1,0 | 39 |
| საქართველო | 6,9 | 64433/948 | 43 | |
| ქუთაისი | 0,38 | 12960/341 | 15 | |

საქართველოს ისტორია

# თამარ მეფის განსასვენებლის ადგილმდებარეობის შესახებ

## (მითი და სინამდვილე)

თამარ მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უამრავი ლიტერატურა არსებობს, რომელიც ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან მიმართებაში წინააღმდეგობას შეიცავს.

წინამდებარე წერილში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თამარ მეფის საფლავის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ქართულ მეცნიერებაში წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობაზე.

ქართული წყაროების თანახმად თამარ მეფე დაკრძალეს გელათის მონასტერში. ამდენად მისი საფლავის ადგილმდებარეობა არასდროს ქცეულა სადაო საკითხად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვადასხვა ვარიანტით გავრცელებულ ლეგენდებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეფის შესაძლო დაკრძალვის შესახებ, რითაც თითქოსდა დაიკარგა საფლავის კვალი.

მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით (იხ. ქვემოთ) აღნიშნული ლეგენდები ისტორიულ სინამდვილეს არ ასახავს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მეცნიერთა დიდი ნაწილი ეთანხმება თამარ მეფის გელათში დაკრძალვის ვერსიას.

აზრთა სხვადასხვაობამ თავი იჩინა მას შემდეგ, როდესაც 1929 წ. პროფ. ზ. ავალიშვილმა გამოაქვეყნა ფრანგი რაინდის დე ბუას მიერ გაგზავნილი წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოს ამედე და ტრემლეისადმი. წერილში რაინდი ატყობინებს ადრესატს, რომ მას „სანდო მოციქულთაგან გაუგია" ივერიის ახალგაზრდა მეფის ლაშქრობის შესახებ (ურიცხვი მხედრობით) იერუსალიმის გასათავისუფლებლად. მეფეს თან მოჰქონდა დედამისის „უძლიერესი დედოფლის, თამარის ნეშტი" რათა მისივე ანდერძის თანახმად დაეკრძალა იერუსალიმში (სრული ტექსტი იხ. ზ. ავალიშვილი, „ჯვაროსანთა დროიდან", თბ. 1989 წ. გვ. 97-98). ზ. ავალიშვილმა, დე ბუას მიერ აღწერილი ამბები—იერუსალიმის მიმართულებით ივერთა მიერ მოწყობილი ლაშქრობა და თამარ მეფის „ალთქმა" ზღაპრად მიიჩნია, რომელიც არ შეესაბამებოდა ისტორიულ სინამდვილეს. მისი აზრით, „ქრონიკის მიხედვით თამარი გელათს დამარხეს" (იხ. ზ. ავალიშვილი, „ჯვაროსანთა დროიდან" გვ. 106-107).

XX ს. 40-იანი წლებიდან მკვლევართა ერთმა ნაწილმა (ს. კაკაბაძემ, შ. ამირანაშვილმა, ვ. ჩაჩანიძემ) ძირითადად ზემოთ აღნიშნულ წერილზე დაყრდნობით და სხვა წყაროების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე ეჭვი შეიტანეს თამარ მეფის საფლავის გელათის მონასტერში მდებარეობის შესახებ. 1940 წ. პროფ. ს. კაკაბაძემ წერილში „ერთი საკითხი საქართველოს ისტორიიდან" (იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი", 1940 წ. 11 დეკემბერი, №286) აღნიშნა, რომ თამარის გვამი დროებით დაკრძალული იქნა გელათში, მაგრამ ლაშა გიორგიმ დედის ანდერძის თანახმად, სამი წლის შემდეგ ამოაღებინა გვამი და იერუსალიმისკენ ლაშქრობის დროს თან წაიღო იქ დასამარხად.

1966 წ. 22 მარტს ქუთაისის პედ. ინსტიტუტში წაკითხულ საჯარო ლექციაზე „რუსთველოლოგიის ზოგიერთ საკითხებზე", სადაც ს. კაკაბაძემ დაიცვა 26 წლის წინ გამოთქმული მოსაზრება თამარ მეფის ნეშტის გელათიდან იერუსალიმში გადასვენების შესახებ, მაგრამ მასში შეიტანა მცირეოდენი შესწორება, ნეშტის გადასვენება დაუკავშირა ამჯერად არა ლაშა გიორგის, არამედ დავით ნარინის სახელს—1270-იან წლებში. თავისი ვერსიის განსამტკიცებლად განსვენებულმა მეცნიერმა მოიშველია იმერეთის მეფის ალექსანდრე V (1720-1751 წწ.) 1730 წელს გელათის მონასტრისადმი გაცემული სიგელი თავის გარდაცვლილი მეუღლის შესახებ, სადაც ნათქვამია: „წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა მეფეთა სასაფლაოთა გელათს. ხოლო საძვალენი მეფეთანი აღვსილ იყუნეს... იყვნეს მუნ გელათსა კერძო მარჯუენით ეგუტერი დავიწყებული ჟამთა ვითარებისაგან, არავინ უწყოდა თუ ვისი საძვალე ყოფილიყო"... (იხ. ს. კაკაბაძე, დასავ. საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, თბ. 1921 წ. გვ. 120).

მართალია, ალექსანდრე V თავისი მეუღლე მთავარი ტაძრის სამხ. მინაშენის აღმოსავლეთ ეკვდერში დააკრძალვინა (შემდეგში თვითონაც მეუღლის გვერდით დაკრძალეს), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკვდერში მანამდე არავინ ყოფილა დაკრძალული. სიგელში საუბარია „ჟამთა სიავისაგან დავიწყებულ ეკვდერზე", სადაც არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვალე ყოფილიყო". ასე რომ, ალექსანდრე V სიგელი, თამარ მეფის საფლავის გელათის მონასტერში უარყოფის მტკიცებულებად ვერ გამოგვადგება. რაც შეეხება ფრანგი რაინდის წერილს, მასში ის ამბობს „...ამბად მივიღე და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ"-ო. ე.ი. დე ბუა აღნიშნული ლაშქრობის უშუალო თვითმხილველი არ არის. ის მხოლოდ რაღაც მოარულ, არასანდო ინფორმაციას ფლობს, რომელიც არცერთი წყაროთი არ დასტურდება. გარდა ამისა, თუ მაშინდელ აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ანალიზს გავუკეთებთ ამდაგვარი ლაშქრობის მოწყობას ვერც ლაშა გიორგი, და მითუმეტეს, ვერც დავით ნარინი ვერ შეძლებდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფრანგი რაინდის წერილში ნახსენები თამარ მეფის „ალთქმა" (ს. კაკაბაძის ინტერპრეტაციით „ანდერძი," არც ერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული. საიდან მოაქვს ის წერილის ავტორს, გაურკვეველია. ამდენად დე ბუას წერილი, თამარის ნეშტის გელათში ყოფნის უარყოფის მტკიცებულებისათვის მიუღებელია.

ს. კაკაბაძის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა აკად. შ. ამირანაშვილმა წერილში „რას მეტყველებს რუსთაველის პორტრეტი" (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1961 წ. იანვარი, 15), სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული ლაშა გიორგის მიერ „დედის უკანასკნელი წადილის" განხორციელების შესახებ.

თამარ მეფის განსასვენებელს გელათის სამონასტრო კომპლექტში მოიაზრებენ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ცნობილ ქართველ მეცნიერებს: ვახუშტი ბაგრატიონს (საქართველოს ისტორია, აკად. ყაუხჩიშვილს (1965 წ. 14 ოქტომბრის ქუთაისი პედ. ინსტ. გამართულ იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა), გ.ლეონიძეს (1963 წ. 31 მაისს საიუბილეო ზეიმზე წარმოთქმული სიტყვა ციტატა ამოღებულია მ.ალავიძის სტატიიდან „თამარ მეფის ეკვდერი გელათში"—იხ გაზ. „ქუთაისი" 1966 წ.17.აპ.№94); აკად. ბ. ლომინაძეს („გელათი", თბ. 1959 წ. გვ. 33); პროფ ზ. ავალიშვილს („ჯვაროსანთა დროიდან", თბ. 1989 წ. გვ.97-98, 106-107); პ.ინგოროყვას (თხზ. კრებული, ტ.I, თბ. 1963 წ.,გვ.853-854, ტ.IV, თბ.1978 წ. გვ. 80); პროფ. ვ. ლოლაშვილის (თამარ მეფის აკლდამას გელათში, თბ.1989 წ. გვ. 36-39); მ. გოგსაძე (ნარკვევები გელათის ისტორიიდან, 1949წ. გვ. 34), გ. გაბუნია (ძველი და ახალი ქუთაისი), ლ. სანიკიძე, მ. ნიკოლეიშვილი...

გვინდა აღვნიშნოთ, რომ საგაზეთო სტატია არ იძლევა ყველა მკვლევრის შეხედულების აქ მოტანის საშუალებას, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია მოვახდინოთ ციტირება სამი უპირველესი წყაროდან (რომელთა ავტორებისა და იქ დაცული ცნობების შესახებ ს. ყაუხჩიშვილის გამოთქმული მოსაზრება ციტირებულია ზემოთ). სამივე ავტორი თამარ მეფისა და ლაშა გიორგის თანამედროვენი იყვნენ და მათ თხზულებაში დაცული ცნობები უფრო ახლოს არის ისტორიულ სინამდვილესთან (რასაკვირველია კრიტიკული მიდგომისა და ანალიზის გათვალისწინებით), ვიდრე სხვა ავტორების მონაცემები.

„... და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა..." (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება ტ. II, თბ. 1959 წ. გვ. 113)

„... და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თუისსა შინა სამარხოსა..." (იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959 წ. გვ. 146)

„...დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს" (იხ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ. გვ. 369).

თამარ მეფის საფლავის გელათის მონასტერში მდებარეობის ვერსიას იზიარებენ ასევე ცნობილი მკვლევრები: ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბაგრატიონი, თეიმარაზ ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ე. თაყაიშვილი, ქ. კეკელიძე, მ. ალავიძე, ლ. სანიკიძე, მ. გოგსაძე, ივ. ლოლაშვილი, რ. მეტრეველი (რომელსაც ამავე დროს დასაშვებად მიაჩნია თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესაძლებლობაც მეფის გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ—იხ. მისი „მეფე თამარი", თბ. 1991 წ. გვ. 309), მ.ნიკოლეიშვილი, გ. გაბუნია...

ზემოთქმულიდან გამომდინარე მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრება თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს.

1) ფრანგი რაინდის დე ბუას წერილის გაგზავნის თარიღი ზ. ავალიშვილმა განსაზღვრა 1207-1202 წ.წ-ით ამ დროისთვის მეფე თამარი ცოცხალია და ამდენად მისი ნეშტის იერუსალიმში გადასვენებაზე ლაპარაკი მიუღებელია.

2) იმ პერიოდისათვის აღმოსავლეთში შექმნილი რთული პოლიტიკური და არასტაბილური ვითარება არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ლაშა გიორგის შეძლებოდა ასეთი გრანდიოზული და შორეული ლაშქრობის მოწყობა იერუსალიმის მიმართულებით (მითუმეტეს ამას ვერ შეძლებდა დავით ნარინი)

3) არცერთ ისტორიულ წყაროში არ არის დაფიქსირებული ლაშა გიორგის იერუსალიმში მოწყობილი ლაშქრობის, თამარ მეფის ნეშტის იქ გადასვენების შესახებ(თუ არ გავითვალისწინებთ დე ბუას საეჭვო ღირებულების წერილს)

4) არც ალექსანდრე V 1730 წელს გელათის მონასტრისადმი გაცემულ სიგელში, არც მურავიოვის მონათხრობში და არც ე. თაყაიშვილის გამონათქვამებში არ არის უარყოფილი თამარის გელათში დაკრძალვის ფაქტი, ან დადასტურებული თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების სინამდვილე.

**P.S.** *ოდესმე დადგება დრო, როცა ეროვნული ცნობიერების მატარებელი ხელისუფლება ამ საკითხების გარკვევისათვის დააფინანსებს სამეცნიერო ექსპედიციას, რათა გაგრძელდეს თამარ მეფის საფლავის მოძიების სამუშაოები. ჩვენი აზრით, ძებნა უნდა დაიწყოს უპირველესად არა იერუსალიმში... ან კახეთში, სამეგრელოში, სვანეთში... არამედ გელათის სამონასტრო კომპლექსიდან.*

ემზარ ჵანტურიძე

---

სოსო სიგუა

# ქუთაისი — ქართული მოდერნიზმის აკვანი

*(გაგრძელება)*

## „ოქროს ვერძი"

1913 წლის 19 მაისს ქუთაისში გამოიცა ყოველკვირეული ალმანახის „ოქროს ვერძი" პირველი ნომერი.

რედაქტორ-გამომცემელი იყო ბესარიონ ჯაიანი, მაგრამ ავტორებს კრებდა და მათ ნაწერებს სასტამბოდ ამზადებდა პაოლო იაშვილი.

ალმანახმა მხოლოდ თვენახევარი იარსება.

გამოიცა ხუთი ნომერი და არსებობა შეწყვიტა, რადგან პაოლო იაშვილი პარიზს გაემგზავრა.

„ოქროს ვერძი," შეიძლება, ჩაითვალოს სიმბოლიზმისაკენ მიდრეკილ გამოცემად. იგი ლიტერატურულად ეკლექტური ხასიათისაა, მაგრამ მსჭვალავს ქართული სიტყვის განახლების პათოსი.

დაიბეჭდნენ—გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო აბაშელი, ტიციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, კონსტანტინე გამსახურდია (აბაშისპირელი), დიკ ჩიქნელი (ჩხეიძე), იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი.

ითარგმნა ჰაინეს, გოეთეს, ვ. დე ლილ-ადანის, ლ. ანდრეევის, ი. სევერიანინის ნაწარმოებები. ალმანახის პროზა იმპრესიონისტულია, ლირიკული მინიატურების გზას მიჰყვება, ხოლო პოეზია განიცდის იოსებ გრიშაშვილის ზეგავლენას (ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი).

„ოქროს ვერძის" მეორე ნომერში გამოქვეყნდა გალაკტიონის „მე და ღამე".

სიმბოლისტურია გრიგოლ რობაქიძის „[illegible]", ლირიკული ეტიუდია, არა მხოლოდ სპეციფიკური ლექსიკით (ლურჯი ნისლი, მთვარე, [illegible]) [illegible] სიმბოლისტური [illegible].

*[illegible]*

[illegible] ნებაში ალანდული:

**„შენ ყვავილი ხარ, ჩემი ლეგენდის ყვავილი",**—მიმართავს ავტორი ამ რომანტიკოსთა მატილდას, ქალად ქცეულ ცისფერ, სიზმარეულ ყვავილს, მაგრამ თავად მწერალიც ასტრალურ ძალთა გამონათებაა.

**„მე შორეული ვარ: არ ვიცი არც დღე და არც ღამე ჩემი მოვლენის".**

გრიგოლ რობაქიძის ეტიუდში ლირიზმი სიყვარულის მისტიკითაა გადმოცემული.

ამავე ალმანახის ფურცლებზე გრიგოლ რობაქიძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს რენესანსი დაიწყო.

ტიციან ტაბიძემ თავის ეტიუდებს „პოემები პროზად" უწოდა და იგი ჟანრობრივად, მართლაც, მოგვაგონებს შარლ ბოდლერის ლექსებს პროზად ანუ ლირიკულ ეტიუდებს.

თვით ალმანახის სახელწოდება „ოქროს ვერძი" რუსული „Золотое руно"-ა, რომელიც სიმბოლისტების ჟურნალი იყო და გამოდიოდა 1906-1909 წლებში, მოსკოვში.

ალმანახში უცხოელთაგან ყველაზე ხშირად იხსენიება რუსი სიმბოლისტი კონსტანტინ ბალმონტი, რომელიც იმჟამად დიდად პოპულარული იყო.

ვილე დე ლილ-ადანისა და იგორ სევერიანინის თარგმნაც ალმანახის სიმბოლისტურ განზრახვას ადასტურებს.

## სიმბოლიზმი თუ ფუტურიზმი?

ქართული პრესა ბეჭდავდა იმპრესიონისტებისა და სიმბოლისტების თარგმანებს, მსჯელობდა მათზე. კრიტიკოსები ცდილობდნენ, ჩვენშიაც აღმოეჩინათ სიმბოლიზმი. მაგრამ ფუტურიზმი ახალი მოვლენა იყო. მისი პირველი მანიფესტი ფილიპო ტომაზო მარინეტიმ 1909 წლის 20 თებერვალს გამოაქვეყნა ფრანგულ გაზეთში „ფიგარო". მან მშვენიერების იდეალად „**სიჩქარის სილამაზე**" გამოაცხადა.

[illegible] თუ სულ სიმშვიდესა და წესრიგს ეძებდა, მარინეტის აზრით, ომი ყოფილა მსოფლიოს ჰიგიენა. იგი ადიდებდა ომს და მოითხოვდა მუზეუმებისა და ზნეობის მოსპობას, სიმამაცესა და აჯანყებას, იტალიის განთავისუფლებას პროფესორების, არქეოლოგებისა და ანტიკვარებისაგან.

მარინეტს მუზეუმი სასაფლაოს აგონებდა.

მისი იდეალი იყო ბრბო, შრომა, რევოლუციის ქარცეცხლი, რკინიგზა, ლოკომოტივი, ავტომობილი, აეროპლანი.

ლიტერატურაში ადამიანი მანქანას უნდა შეეცვალა, რომელსაც არც სული აქვს და არც ნერვები.

ეს იყო სიმბოლისტური სულობის, მთვარისა და ღამის იდუმალების საპირისპირო მრწამსი, ძველი კულტურის უკუგდება.

ვარსკვლავთმოძულე მარინეტიმ უფრო დააზუსტა თავისი პოზიცია „ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკურ მანიფესტში", რომელიც 1912 წლის 11 მაისს დაბეჭდა.

ამჯერად ბუნებრივ გრძნობებს შეუტია და სიყვარული არარაობად მიიჩნია.

ფუტურიზმმა სწრაფად შეაღწია რუსეთში და რამდენიმე გაერთიანება წარმოშვა, რომელთა ლიდერი გახდა ქუთაისის გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ალაპარაკდნენ ქართველი კრიტიკოსებიც, ოღონდ—უარყოფითად (მიხეილ წულუკიძე, ვ. კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე, ვასილ წერეთელი, დავით კასრაძე).

მარინეტის გავლენა გადაწვდა „ცისფერ ყანწებსაც" და ეს აისახა პაოლო იაშვილის წინათქმაში.

ახალგაზრდა მწერლის წინაშე არჩევანი დადგა, რადგან შერწყმა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო—მათი ესთეტიკა ერთმანეთს გამორიცხავდა.

საქართველო სიმბოლიზმს უცხოობდა და ფუტურიზმს როგორ მიიღებდა, რომელიც ყურადღებას იქცევდა ხაზგასმული ანტიესთეტიზმით.

გარდა ამისა, ქართულ ლიტერატურას ჯერ არ დასდგომოდა ნამდვილი სიმბოლიზმის ღამეები, ხოლო ფუტურიზმი, პირველ ყოვლისა, სიმბოლიზმის უკუგდებაა. საქართველოს არც იტალიის მსგავსი დიდი წარსული ამძიმებდა, არც მაშინერიის მოძალებას უჩიოდა.

ქართველ პოეტებს ესთეტიზმი და ფორმის კულტი იზიდავდათ.

„ცისფერყანწელებმა" შეითვისეს ფუტურიზმის ელემენტები, მაგრამ სწრაფად ჩამოყალიბდნენ სიმბოლისტებად, თუმცა ფუტურისტებისადმი ინტერესი არ დაუკარგავთ (ვასილ კამენსკი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ალექსეი კრუჩონიხი...).

ამ გაორებას კარგად გვიჩვენებს ტიციან ტაბიძე:

**„1914-1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო. უკვე იგრძნობოდა სიმბოლიზმის კრიზისი. შვეიცარიიდან ახლად დაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა ბუნდოვანი მისტიური დაჭანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ქესტ-მიმიკის თეატრზე. მახსენდება სკრიაბინის სიკვდილი და მისი დაკრძალვა, სკრიაბინისავე მუსიკის კულტი, იგორ სევერიანინის პოეზიის უთვალავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომები და ფორმულა „კანტიდან პრუდონამდე", რუსეთის ჯარის წასვლა გერმანიის ფრონტზე, მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების" სხდომა ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აკმეისტებისა და „ადამისტების" შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტთან, რომელიც მაშინ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" თარგმნიდა, გატაცება ბლოკითა და ინოკენტი ანენსკით, და ბოლოს, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის, ხოლო უფრო გვიან—ხლებნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მაღელვებდა და მიტაცებდა, და ასე თუ ისე აისახა კიდეც ჩემს შემდგომ მუშაობაში".**

ათიანი წლების ახალი თაობა მაინც სიმბოლიზმის გზით წავიდა, რომელმაც გააგრძელა იმპრესიონიზმის დაწყებული ცვლილებების პროცესი.

ლიტერატურის ახალი კურსი განსაზღვრა ორმა პიროვნებამ—გალაკტიონ ტაბიძემ და ტიციან ტაბიძემ. მათ დააკონკრეტეს გრიგოლ რობაქიძის განახლების პათოსი და ესთეტიზმი.

*(გაგრძელება იქნება)*




# სამი ახალი წიგნი

## სამი წინასიტყვაობა

❖ ❖ ❖

წიგნის ავტორისთვისაც, ისევე როგორც ეროვნულ კულტურას დაწაფებული ყოველი ქართველისათვის, სიყმაწვილიდან ცნობიერებაში შემოვიდა ერთი უპირველესი მასწავლებელი—დავით გურამიშვილი. წარმოდგენილი ნაშრომი მოკრძალებული მცდელობაა იმის დაწნეხილად გადმოსაცემად, რაც „მხიარული ზაფხულის“ მკითხველის შეგირდულ სმენას სწვდება.

„მხიარული ზაფხულის“—როგორც „დავითიანის“ დამამთავრებელი ნაწილის—შესწავლა გვარწმუნებს, რომ დავით გურამიშვილი, თავისი დრამატული ბიოგრაფიის გამო საკმაოდ ხედავს და ხელშესახებად სწვდება მოვალეობას წარსულისა და მომავლის წინაშე,—ისტორიის მიზეზობრიობის მთელი სისავსით გაცნობიერების პასუხისმგებლობით იგი იტვირთავს წინამორბედთა ცოდვას, ხოლო მადლის ქმნით, თავის წიგნის წერით და საზოგადო თუ საკუთარი ცხოვრების განსჯით იგი გზას უკაფავს მომდევნოს.

სულისა და პოეზიის საშუალებით გურამიშვილის მიერ ბედისწერისა და აუცილებლობის ხუნდების დაძლევა და თავისუფლების მოპოვება კიდევ ერთი ნიმუშია, ერთი მაგალითია, ერთი გაკვეთილია იმისა, რომ ზნეობრივი პროცესი უქცეველია, რომ ადამიანის ზნეობრივი ცხოვრება უწყვეტი უნდა იყოს მიუხედავად: მიუხედავად ზნეობრივი სიყრუისაირგვლივ, გურამიშვილი ზნეობის ზარებს აგუგუნებს; მიუხედავად გარშემო თვალშისაცემი სულიერი სიძაბუნისა, იგი თავის სულსა წვრთნის და ჩვენც სულის წვრთნისაკენ მოგვიხმობს; მიუხედავად წარმავალობის წინაშე მძრწოლარე დგომისა, პოეტი იმედის სანთელს ანთებს.

„მხიარული ზაფხულის“ სიხარული განპირობებულია იმ ცოდნითა და განცდით, რომ ბედუკუღმართობისა და ტანჯვის, მარტოობისა და გაუგონრობის მიღმა ბრძენი და ზნემაღალი პოეტი ჭვრეტს სამყაროს უკანასკნელ და, ამავე დროს პირველ ჭეშმარიტებას—რომ სამყაროს არსი მშვენიერია, რომ სამყაროს არსი სიკეთეა.

წიგნი დაწერილია 1987 წელს.

**მერაბ ღალანიძე**

❖ ❖ ❖

ჩვენს წიგნში გვინდა ვისაუბროთ აკაკის სატრფიალო ლირიკის თავისებურებებზე, სატრფიალო ლირიკის ადრესატებზე.

მაგრამ, სანამ კონკრეტულ ფაქტებზე გადავიდოდეთ, გვინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ზოგადად.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ აკაკი პლასტიკურ-დინამიკური განწყობის პიროვნებაა. პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანები ყველაზე მოქნილები, ცხოვრებასთან ყველაზე იოლად შეგუებადნი, ყველაზე მეტი შინაგანი ჰარმონიით და სინათლით სავსენი არიან, რადგან სწრაფად აღმოუცენდებათ ახალი გარემოს შესატყვისი განწყობა და მოქმედების ბუნებრივი რიტმი არ ერღვევათ. ოღონდ თავიანთი იოლად გადანაცვლებადი და მოქნილი ბუნების გამო ოდნავ ზერელეები და გრძნობის შინაგან სიმყარეს და გამძლეობას, სიღრმეს მოკლებულები ჩანან, სამაგიეროდ ახლავთ უცნაური სინათლე, ჰარმონია, სითბო.

ადამიანი ყველაზე უკეთ იმაში ჩანს, როგორ უყვარს.

აი, რას წერს ასეთ ადამიანთა სიყვარულის შესახებ ვლ. ნორაკიძე: „ასეთ ადამიანებს არ ახასიათებთ კონფლიქტური სიყვარული. საერთოდ ასეთ განცდას არასოდეს არ დაუპყრია მთლიანად პიროვნება... სიყვარული... ვერ იჭრება მათში ისე ღრმად, რომ იგი წონასწორობიდან გამოიყვანოს... ჰარმონიისკენ სწრაფვისა, ცხოვრებისა და, კერძოდ, ადამიანების რეალური განცდის უნარის გამო ეს პირები ადვილად პოულობენ შესაფერისს, ადვილად ამყარებენ სიყვარულით მეგობრობას—ეს სიყვარული ხანგრძლივიცაა, მყარიც. პიროვნება სავსეა სიყვარულის ობიექტისადმი უაღრესი სიმპათიით. ეთიკური კატეგორიების ზეგავლენით მან შეიძლება თავიც გაწიროს საყვარელი ადამიანისათვის. იგი სხვის ტკივილებს ისევე გაურბის, როგორც საკუთარს, მაგრამ სხვისი დათმობაც ადვილად შეუძლია. ურთიერთობაში კონფლიქტის დროს იგი არ კარგავს წონასწორობას, მისი დარდი ხანმოკლეა, ზერელე, ღრმა მწუხარება ვერ იჭრება პიროვნების სიღრმეში... აცხადებენ, რომ ძლიერი სიყვარული მათ არასდროს არ ჰქონიათ, სიყვარულს ისინი არასოდეს არ შეუწუხებიათ, განსაკუთრებით წრეგასული აღფრთოვანება მათ არ განუცდიათ. სყვარულის დროს მათში სუფევდა დამამშვიდებელი სიხარული, რომელიც უკეთესი მომავლის რწმენას აძლიერებდა და მომავალი ცხოვრების პრაქტიკულ პერსპექტივებს სახავდა. მათ არ სჯერათ, რომ შეიძლება არსებობდეს სიყვარულის ემოცია, რომელიც მთლიანად დაიპყრობს პიროვნებას... თუ ძლიერ ხანგრძლივად არა, დღეების განმავლობაში მაინც გამოთიშავს პიროვნებას ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობიდან და აღავსებს მას უჩვეულო აღმაფრთოვანებელი თუ სასოწარკვეთილების გრძნობებით. ამიტომ ასეთ პიროვნებაში ხშირად ვხვდებით ქორწინებას, რომელიც გამოწვეულია პრაქტიკული მოსაზრებებით“.[1]




ალბათ, ასეთ დახასიათებას ბევრ რამეში შეეკამათებოდა აკაკი, რადგან ის ცალკე ინდივიდია, თან დიდი და გამორჩეული ადამიანი და ბუნებრივია, ამ ზოგადის კონკრეტული გამოვლინება, რომელიც ემთხვევა კიდეც და არც ემთხვევა ზოგადს. ჩვენთვისაც ზოგჯერ გაუცნობიერებელი სულისკვეთება გვაიძულებს იგი ადამიანთა ამ ჯგუფში გავარეთიანოთ და ამ ფსიქოლოგიური დახასიათების დახმარებით მოვიყვანოთ სისტემაში მისი პიროვნების შესახებ არსებული ფაქტები.

ჩვენ ფსიქოლოგიური დახასიათება მხოლოდ გზის გამკვლევად გამოვიყენეთ და მისი ცხოვრების თუ შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ზოგი ნიშნის მიზეზის უკეთ გასაგებად.

როცა მის ცხოვრებას თვალს გადაავლებთ, ამ დახასიათებიდან ზოგი რამ შეიძლება გეწყინოთ, ზოგი კი გაგიკვირდეთ და საერთო დახასიათებიდან ერთი შეხედვით ამცდარი მოგეჩვენოთ, მაგრამ ბოლოს მაინც მივხვდებით, რომ ეს დახასიათება სწორ გეზს იძლევა მისი პიროვნების და მისი სატრფიალო მოტივის ამოსახსნელად.

**თამარ ახვლედიანი**

❖ ❖ ❖

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ვასილ ბარნოვი სამწერლო ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა—1878 წელს გაზეთში „დროება“ (№220,227) გამოქვეყნდა მისი პირველი პროზაული ნაწარმოები „სურათები ხევსურების ცხოვრებიდან“. მეოცე საუკუნის დამდეგამდე მხოლოდ ოციოდე მოთხრობა და ნოველა შექმნა, მაგრამ განსწავლის, ლიტერატურული ვარჯიშისა და მწერლობაში საკუთარი გზების ძიების ის ოცი წელიწადი საოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდა იმით, რომ მან იპოვნა თითქმის ყველა თემა, რომლებმაც მომავალში უხვად შეავსეს მისი შემოქმედების გრანდიოზული ფარვატერი. ცხრაასიანი წლებისათვის უკვე შექმნილი ჰქონდა ქართული პროზის შედევრი „ისნის ციხკარი“ (ისტორიული თემა), კრიტიკული რეალიზმის შესანიშნავი ნაწარმოებები: „ჩვენი ლამპა“, „ვაი შენს დამკარგავს“, „ნუშო“, „ისე ჩავკრა“ (მემამულურ-ბურჟუაზიული საზოგადოების მძაფრი კრიტიკა), „მეჩვენა“, „პროფესორი“, „ქოჩორა ხე“ (პიროვნების ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ინტელიგენციისა და სასწავლო-სააღმზრდელო სისტემის კრიტიკა) და ა.შ.

ჩვენი საუკუნის დამდეგიდან—ოციან წლებამდე მან ორმოცამდე მოთხრობა და რომანი გამოაქვეყნა, მათ შორის ისტორიული შედევრები: „მიმქრალი შარავანდედი“ (1914 წ.) და „ტრფობა წამებული“ (1919 წ.), მაგრამ ყველაზე ნაყოფიერად სიცოცხლის ბოლო პერიოდში იღვაწა—1921-1934 წლებში მან შექმნა ცხრა ისტორიული რომანი და ოცდაათი მოთხრობა, რედაქცია გაუკეთა და გამოსაცემად მოამზადა თავის თხზულებათა ოცი ტომი, ტომში 400 ვერდის ვარაუდით. ამასთანავე, დაუცხრომლად, იშვიათი ენთუზიაზმით იღვწოდა ქართული სულის დასამკვიდრებლად როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და სახალხო განმანათლებელი.

სულით არისტოკრატი და ესთეტი, ნაზიარევი ანტიკურ, ევროპულ, რუსულ და ძველ ქართულ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ შედევრებს, ღრმად მცოდნე მსოფლიო ისტორიისა და საქართველოს წარსულისა, უნივერსალურად განსწავლული პოეტი და მხატვარი, დიდი ჰუმანისტი, დემოკრატი და ინტერნაციონალისტი, წერდა გაორებული მხატვრული ენით: ბრწყინვალე ისტორიულ პროზას ქმნიდა ახალი და უახლესი ქართულისათვის უჩვეულო ლექსიკით და სტილისტური კონსტრუქციებით, ქართული ბიბლიის, ჰაგიოგრაფიის და მატიანეთა უღრმესი ფესვებიდან მომდინარე სურნელით და სახიერებით, მეორე მხრივ, ახალი და უახლესი სალიტერატურო ქართულით წერდა სოციალური და ფილოსოფიური მოტივებით დატვირთულ მოთხრობებსა და ნოველებს, ეხმიანებოდა თავისი დროის აქტუალურ ზნეობრივ პრობლემებს.

ვ. ბარნოვმა ქართულ მწერლობაში ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა კლასიკური ფორმის ისტორიული რომანი და ფილოსოფიური ბელეტრისტიკა, შემოიყვანა და დაამკვიდრა ახალი პერსონაჟები—ძველი თბილისის მოქალაქენი, ხელოსან-ამქრები, ინტელიგენტები; ისტორიულ თხზულებებში შთამბეჭდავი სახიერებით გააცოცხლა საქართველოს წარსული წარმართობიდან საბჭოთა ეპოქამდე. უკვდავი ჰიმნი უმღერა ქართველი კაცის ჰუმანისტურ სულს, მხედრულ შემართებას, ინტელექტუალურ სიღრმეს, მშვენიერებისა და სიკეთისათვის, თავისუფლებისა და ღირსებისათვის დაუცხრომელ ბრძოლას.

ვ. ბარნოვი მთელი არსებით რეალისტია, მაგრამ მისი რეალიზმი გაჟღენთილია რომანტიკული სულით; ის იშვიათი ობიექტურობით ასახავს როგორც ისტორიულ, ისე თავისი დროის სინამდვილეს. მისთვის უცხოა ისტორიული ჟანრის დიდოსტატებისათვის არცთუ იშვიათად დამახასიათებელი სუბიექტივიზმი, ტენდენცია—იდეალურად წარმოსახონ მათ მიერ „ხელახლა აღმოჩენილი“ წარსული. ის უმკაცრესი კრიტიკოსია ფეოდალური ყოფისა და ბურჟუაზიული საზოგადოების ნეგატიური მოვლენებისა, თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეებისა. ამ თვისებებით ის დღესაც ჰუმანისტის მებრძოლი, ცოცხალი სიტყვით დგას ჩვენს შორის, როგორც ზნეობის, აქტიური სოციალური პოზიციის, ძმობისა და მეგობრობის მქადაგებელი, დიდი მხატვარი და მოაზროვნე.

ვ. ბარნოვის მხატვრული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევა მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო. მეტ-ნაკლებადაა შესწავლილი მწერლის ისტორიული რომანები, შემოქმედების ცალკეული მხარეები, მაგრამ დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევია მისი მოთხრობები, არაისტორიული პროზა.

ვ. ბარნოვის შემოქმედების ამომწურავი მეცნიერული ანალიზი აღემატება ერთი ან რამდენიმე მკვლევარის შესაძლებლობას, ის თაობის საქმეა. ამ ნაშრომის მიზანი მოკრძალებულია—განვიზრახე მონოგრაფიულად გამოვიკვლიო მწერლის არაისტორიული პროზა, მოთხრობები; თანამედ-




როვე თვალთახედვით განვიხილო ბარნოვოლოგიის მონაპოვარნი, კერძოდ, მწერლის შემოქმედების შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი, ზოგ შემთხვევაში დავუპირისპირო განსხვავებული ინტერპრეტაცია.

**სერგო ჭეიშვილი**

XX საუკუნის მოაზროვნეები

# არნოლდ ჯოზეფ ტოინბი

არტურ ხიუბშერი



*ა. ჯ. ტოინბი დაიბადა 1889 წლის 4 აპრილს ლონდონში. ვინჩესტერსა და ბალიოლ-კოლეჯში სწავლობდა ისტორიასა და კლასიკურ ენებს. 1911 წელს 9 თვე მოგზაურობდა საბერძნეთსა და კრეტაზე. 1912-1915 წლებში ისტორიის დოცენტია ოქსფორდში. 1015-1919 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში; ლონდ ბრაისის ხელმძღვანელობით გამოსცა „ლურჯი წიგნი“; მონაწილეობა მიიღო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში. 1922 წელს იმოგზაურა იაპონიასა და შორეულ აღმოსავლეთში. დაბრუნების შემდეგ გახდა ლონდონის უნივერსიტეტის ბიზანტიის, მსოფლიო ისტორიისა და ახალბერძნული ენა-ლიტერატურის პროფესორი. 1939-1943 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტის საზღვარგარეთის არქივისა და ბეჭდვითი სიტყვის დირექტორია, ხოლო 1943-1946 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილების დირექტორი. გარდაიცვალა 1975 წლის 22 ოქტომბერი.*

ახალგაზრდა ჩინოვნიკი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ წლებში ფორინ ოფისში ეგებებოდა მნახველებს, გამხდარია და სალუქი, ძალდაუტანებლად თავშეკავებული, გეგონებათ სავსებით შეეგუა თავის გარემოს, მაგრამ მის ღიმილსა და მის მხიარულებაში იყო რაღაც არაბუნებრივი, რაღაც წინათგრძნობის მსგავსი და მღელვარე, რომელსაც მისი თხელი, უკვე შეჭაღარავებული თმის ვარცხნილობაც ადასტურებდა. სწავლობდა რა ბიბლიას, ისტორიას და კლასიკურ ენებს, იგი იზრდებოდა ურყევი ავტორიტეტების ატმოსფეროში. მაგრამ ბერგსონის ვულკანურმა ნაწარმოებებმა ზეშთაგონების ძალით შეარყიეს მისი მშვიდი სამყარო. ბერგსონმა მოუტანა მას პირველი მძაფრი განცდა არასაიმედოობისა და ცვალებადობის (Unbestanclig-keit), სამაგიეროდ ვეგეტატიური სიცოცხლის უმაღლეს წესრიგში ამყვანი ხელმძღვანელი პიროვნებებისა და სოციალური ფენების შემოქმედებისადმი რწმენა.

შორეულ მოგზაურობებში ტოინბი ხედავდა გამქრალი კულტურების კვალს. თვით ომის წინა დღეს მას ჯერ კიდევ არ სურდა ეღიარებია ევროპისათვის სწორი თეზისი, რომ კულტურები მოკვდავნი არიან, როგორც ადამიანები, მაგრამ ომის დასასრულს სურათი შეიცვალა და როდესაც 33 წლის შესრულდა, მან საკონცერტო პროგრამის ნახევარ ფურცელზე მოხაზა თავისი მომავალი ნაშრომის მთელი გეგმა. მას ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ მისი შესრულება მოითხოვდა სულ მცირე ორ მილიონ სიტყვას—ორჯერ მეტს, ვიდრე ჰოვარდ გიზონს დასჭირდა თავისი დიდი, ოცი წლის მანძილზე დაწერილი ნაშრომისათვის—დაცემა და დაღუპვა რომის იმპერიისა. ახლა, როცა „ისტორიის გამოკვლევის“ ("Study of History") ცხრა ტომში მისმა ახალმა თვალსაზრისმა, კულტურის მთელს ისტორიაზე, მიიღო დასრულებული სახე, თვით ტოინბმა იგი ამგვარი შედარების საშუალებით ახსნა.

მთაზე ამსვლელნი კლდის ციცაბო კედელზე მიცოცავენ საფეხურიდან საფეხურზე, ხან სწრაფად, ხანაც ნელა, ადვილად ან გაჭირვებით. ზოგიერთები, ძალაგამოცლილნი, უკან რჩებიან, სხვები ინარჩუნებენ მხნეობას და გრძნობენ წყურვილს მიაღწიონ ახალ წარმატებას, ხოლო რამდენიმემ უკვე დაიწყო ასვლა შემდგომ, ჩვენთვის ჯერ კიდევ უხილავ საფეხურზე. სწორედ, ამგვარად მიჰყვება საკუთარი თავი ყველა ცალკეულ კულტურასაც. ისინი გზას უძველეს დროში დაადგნენ: არ არსებობს წინარე ხალხი, არ არსებობს პირველი მარცვალი, საიდანაც ისინი განვითარდნენ, თითოეული პირველად მოწოდებული იყო დაეწყო კულტურული აღმავლობა და განსხვავება მათ შორის მდგომარეობს მხოლოდ იმაში, თუ როგორ უპასუხეს მათ ამ მოწოდებას. მათ წინაშე ყოველთვის სასტიკი კლდეა—ის ფონი, რაზედაც გათამაშდება დრამა: ველი, თუ ულრანი ტყე, ოკეანე, თუ დაჭაობებული დელტა, მტერთა თავდასხმები თუ სასტიკი ბატონობა, და მაინც, დრამა ყოველთვის სხვადასხვაგვარად ვითარდება. მოწოდებაზე გამოხმაურებას შეუძლია შემოქმედებითი ძალის—და შემდეგ ეს ძალა თვითონ იქცევა წინსვლის ახალ მოწოდებად და მაშინ კულტურული განვითარება, დიალექტიკურ პროგრესში, იძენს ახალ ძალებს, და უფრო შორს მიაქვს ეს შემოქმედებითი აღტკინება. მაგრამ ზოგჯერ მოწოდება იმდენად დამამძიმებელია, იმდენად ვალდებულებითია, რომ ისტორია შენელდება და მერყეობს: შეიძლება მოწოდება აღემატება არსებულ ძალებს და მაშინ მასზე პასუხისმგებელი კულტურა დარჩება თავის საწყის მდგომარეობაში; შეიძლება მოწოდება არასაკმარისად ძლიერია, მაშინ პასუხი მოჰყვება დაყოვნებით, მოდუნებულად, როგორც თვლემის დროს.

ყოველივე ამას მივყავართ იქამდე, რომ თითოეული შემოქმედებით უმცირესობის წინაშე დგას ამოცანა მოდუნებული, ზარმაცი მასები აქციოს თავის თავისუფალ, ახალი მიზნებისაკენ ლტოლვად თანამგზავრად. საკუთრივ მასა მოკლებულია შემოქმედებას, მას შეუძლია მხოლოდ მიბაძოს შემოქმედებითად წამყვანი ფენის მაგალითს და კულტურები იზრდებიან მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მასას ეყოფა ნებისყოფა გააგრძელოს მიბაძვის პროცესი. მაქს ვებერი ლაპარაკობდა პირველყოფილი წარმმართველი ფენების ქარიზმის (Charisma) შესახებ, რომელთა მაგია აიძულებს მასებს გაჰყვნენ მათ. ხდება იდუმალი ურთიერთმოქმედება ზედა და ქვედა ფენების, და ტოინბისათვის, როგორც ინგლისელისათვის, მით უფრო იოლია გაიგოს, რომ მის ქვეყანაში ურთიერთმოქმედება უმაღლეს ფენებსა და „მიმბაძველ“ მასას შორის გრძელდებოდა იმ დროსაც კი, როდესაც უმაღლეს ფენას უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი შემოქმედებითი ძალა.

ისტორიის სვლა მარად განისაზღვრება მოწოდებისა და პასუხის თანაფარდობით—უძველესი ურთიერთობებით, თითქოსდა მიღმურ სამყაროში შეკრულით და არა დროით-ისტორიული მოვლენების სვლით, მსგავსად ფაუსტური დრამის წინასწარ განსაზღვრული ღმერთსა და ეშმაკს შორის დადებული ზეციური პაქტისა. ყველა კულტურის ისტორიას განმსჭვალავს მოწოდებები და პასუხები, მარად მონაცვლე, როგორც დარტყმა და გამოძახილი. არის ეპოქები მოძრაობისა და ეპოქები მოსვენებისა, აღმავლობისა და დაშვებისა, გადამწყვეტი ისტორიული სიტუაციები და ისეთები, რომელთაც დრამატურგი ათავსებს უმნიშვნელო შუალედურ სცენებში. არ არსებობს არავითარი სქემები, შპენგლერის მოძღვრება კულტურის სახეობათა შესახებ უარყოფილია ფაქტებით, წინასწარმეტყველება ძნელად თუ შესაძლებელია; მაგრამ ტოინბიმ ფსიქოლოგებისაგან ისწავლა ის, რომ „განკურნება“ მიიღწევა ინსტიქტურ განზრახვათა გაცნობიერებით და მათი დაუფლებით, და მას ჯერ კიდევ ჯერა სულის თავისუფლებაში მიიღოს გადაწყვეტილება. თუკი ის ცდილობს გამოაღვიძოს ჩვენში განსაცდელის შეგნება, მხოლოდ დახმარების სურვილით, მოგვცეს მითითება, მიაპყროს ყურადღება წარსულის საბედისწერო შეცდომებს და აღძრას იმ პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ჩვენ უნდა ვიკისროთ. გემს ჩაძირვა ემუქრება და ტოინბი გვაძლევს მის მიერ მოხაზულ საზღვაო რუკას—ახლა ჩვენ შევძლებთ მაღალი შეგნებით გავაკეთოთ ჩვენი თავისუფალი არჩევანი.

**თარგმნა ნუგზარ კუჭუხიძემ**

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტკარაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი გია ხოშერია
რედაქტორი ნათია ოდილავაძე
გაზეთის დიზაინერი დავით შავიანიძე
გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/9-4818
მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59, ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
ტელეფონი 822 79 79 46 (თბილისი); 877 49 69 05; 8231 4 28 83; 9 02 93 (ქუთაისი); 888 222 5 50 80 (ბათუმი)
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში http://www.opentext.org.ge/kartuli

# სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი „ქართველური ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე“

## სასწავლო-სამეცნიერო სემინარების ციკლი „ქართველური ენა და კულტურა“

***მოკლედ ცენტრის მიზნების შესახებ:***

კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის–ქართველების–სახელს უკავშირდება ძველბერძნული მითები პრომეთესა და ოქროს საწმისის შესახებ, მტკვარ-არაქსის უძველესი კულტურა, II-I ათასწლეულების ცნობილი „დიდი ხალხური ცივილიზაცია“, ათასწლეულების წინ შექმნილი ფონემატურად უზუსტესი ანბანის შექმნა, უძველესი ქრისტიანული წარსული და სხვა. საქართველოში ერთმანეთს კვეთდა ევროპული და აზიური ცივილიზაციები, შესაბამისად, ქართველთა ენა და კულტურა მრავალწახნაგოვნად აირეკლავს ბევრ საინტერესო კულტურულ თუ ისტორიულ მოვლენას. სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის უცნობია სპეციალისტთა მიერ გამოკვლეული ბევრი ფაქტი.

ჩვენი მიზანია, პოპულარული ლექციებით, პროფესიული ექსპედიციებით, საზაფხულო და სხვა სახის დროებითი სკოლების ორგანიზებით, ვიდეომასალით გავაცნოთ დაინტერესებულ პირებს ქართველთა სამწიგნობრო ენა, დიალექტები, ფოლკლორი, მატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშები და ეთნოგრაფიული კუთხეები; აგრეთვე ქართველთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები სხვა ერებთან. ცენტრი ხელს უწყობს ქართული სალიტერატურო ენის, როგორც სახელმწიფო ენის როლის განმტკიცებას.

### სასწავლო-სამეცნიერო სემინარი

ახალი 2002-2003 სასწავლო წლიდან ცენტრმა საფუძველი ჩაუყარა სასწავლო-სამეცნიერო სემინარების ციკლს „ქართველური ენა და კულტურა“.

სემინარების მიზანია ლექტორ-მასწავლებლებს, ასპირანტებსა და მკვლევრებს გააცნოს უახლესი ისტორიული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული კვლევები.

სასწავლო-სამეცნიერო სემინარების თემები წინასწარ განსაზღვრულია, თუმცა, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭო ყურადღებით მოეკიდება ჩვენი მკითხველების მიერ შემოთავაზებულ სამეცნიერო თემებსაც.

***სამეცნიერო სემინარების სავარაუდო თემებია:***

1. „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა და ეროვნების საკითხი“;
2. დიდი კოლხური ცივილიზაცია (საზღვრები, ენა, დედაქალაქი);
3. ბაბილონის გოდოლი–ენების აღრევის ფილოსოფიური არსი და ქართველთა ბიბლიური წინაპრები;
4. ქრისტიანობის არსი; ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში;
5. იოვანე ლაზი და პეტრე იბერი;
6. ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია; ფუძე დიალექტის საკითხი, პერიოდიზაცია, ქართველურ დიალექტებთან მიმართება;
7. ცდუნება–ზოგადსაკაცობრიო პრობლემა და ილიას „განდეგილი“;
8. ტრადიციული რელიგიები და სექტები;
9. ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე იმპერიების იდეოლოგიური დივერსიები;
10. უახლესი ქართული მწერლობის განვითარების პროცესი და თანამედროვეობის პრობლემები.

სემინარის მონაწილეებს საშუალება ექნებათ აქტიურად ჩაერთონ ჯგუფურ სამუშაოებში, იმსჯელონ სემინარის თემის ირგვლივ, დასვან მათთვის საინტერესო კითხვები. სემინარის მონაწილეები მიიღებენ სათანადო მოწმობას (სერთიფიკატს).

*პირველი სემინარის თემა: „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა და ეროვნულობის საკითხი“, რომელიც ჩატარდება 2002 წლის 9 ნოემბერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში, დღის 10 საათზე.*

სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს (დასწრება უფასოა).

სემინარზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია. მსურველები უნდა დაგვიკავშირდნენ 2002 წლის 5 ნოემბრამდე სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის ტელეფონზე 4-28-83, ან მობრძანდნენ შემდეგ მისამართზე:

**თამარ მეფის ქ. №59**
**ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**
**III კორპუსი, IV სართული**
**ელ-ფოსტა: putkaradze@sanet-k.net.ge**
**საკონტაქტო პირები: ხათუნა ჯავახაძე**
**ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი**
**ტელ. 877 44 61 61**
**ელ--ფოსტა**
**Khatuna_j@hotmail.com**
**სოფიო კუზლაშვილი**
**ცენტრის სწავლული მდივანი**

## გასწორება

გაზეთი წინა ნომერში ტარიელ ფუტკარაძის ნარკვევში „ასპინძური მასპინძლობა“ მეორე სვეტის დასაწყისში უნდა ეწეროს: „ქართული ენის ქვეკომისია“ პირველ რიგში გეგმავდა საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლის, მისი კონსტიტუციური სტატუსის დაცვისა და „ქართველური დიალექტური ატლასის“ შექმნისათვის სათანადო პირობებს. 1991 წლის აგვისტოდან საქართველოში დაწყებული პუტჩის გამო ეს და ბევრი სხვა სასაქართველოო გეგმაც ჩაიშალა; მეზობელი იმპერიების დახმარებით ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო ხუნტამ“.